№ 20—21
1934

# მნათობი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
ეროვნული ბიბლიოთეკა

ორკვირეული მასიური სამხატვრო პოლიტიკური ჟურნალი

# დროშა

რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველდღე 12-2 საათამდე: მისამართი: წულუკიძის ქ 4.

№ 20—21

ტფილისი

გამ „კომუნისტის" გამ-ბა

1934

## შინაარსი

**მოწინავე**—ამხ. კიროვის ხსოვნას. მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ორგანიზატორი.
ა. **შნიტკოვი**—კიროვი პარტიული ყრილობების ტრიბუნაზე.
ს. **ბუდიონი** — პირველი შეხვედრა კიროვთან.
რ. **რუბინოვი**—პროლეტარულ სახელმწიფოს ელჩი თეთრ ტფილისში.
ა—ს.—რას შესცქეროდა ლენინი.
ნ. **ფხაკაძე**—თუჯის ჩამოსხმული გოგონა.
გ. **მიბუკე**—შ. ლომთათიძის გამოუქვეყნებელი წერილიდან.
შ. **კაჭახიძე**—ქუჩის ჭანდრები (ლექსი)
ქ. **კაპანელი**—კულტურული მემკვიდრეობა და კლასიკოსების პრობლემა.
ვ. **მაჭავარიანი**—გენიალური სისადავე.
კლ. **გოგიავა**—მეთევზეთა ბანთიადი (მოთხრობა).
კ. **მელაძე**—ვასილ ბარნოვი.
კ. **ჯავრიშვილი**—ზოოპარკი
ა. **აბაშიძე**—ყინულმჭრელ „ლიტკეზე".
ვ. ბ. ი. ლისაშვილის „ვარდნილი".



მე-17 პარტყრილობაზე:
სხედან ამხ. ამხ. ი. სტალინი, მოლოტოვი, ორჯონიკიძე, კიროვი; დგანან: ამხ. ამხ. კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, ენუქიძე, კუიბიშევი.

პ/მ. რედაქტორი: ვ. მაჭავარიანი
სარედაქციო კოლეგია: კონსტ. ლორთქიფანიძე, გრ. მუშიშვილი, აკ. ჭეონია, ლევ. ასათიანი, ალ. სულავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამხ. კიროვის ხსოვნას

კომუნისტურმა პარტიამ, ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა დაჰკარგეს თავისი საუკეთესო, თავდადებული რაინდი — **სერგეი მირონის-ძე კიროვი.**

1 დეკემბერს სმოლნში მომხდარმა უბედურებამ ჩასწვდა ჩვენი სამშობლოს გულსა და სულს.

ჩვენ დავკარგეთ სოციალისტურ ქვეყნის საუკეთესო მებრძოლი.

მტერმა ხელიდან გამოგვლიჯა ადამიანი რომელიც კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პოლიტბიუროს მაღალ მწვერვალებიდან ხელმძღვანელობდა სოციალისტურ რევოლუციის ძლევამოსილ წინსვლელობას.

ვინ მოკლა ჩვენი მირონიჩი? ვინ იყო ის ადამიანი რომელმაც გაბედა პარტიის, მჩქეფარე ენერგიით აღსავსე, ხელმძღვანელის ვერაგულად —განადგურება? ვინ ნაგავი მოემარჯვებია ლენინგრადის პროლეტარია საყვარელ ბელადის, წინააღმდეგ? კიროვი მოკლა განწირულმა, მტერმა.

ჩვენი კიროვი მოკლა ზინოვიევ - ტროცკისტულ კონტრ-რევოლუციონური ჯგუფის ტერორისტმა ვინმე ნიკოლაევმა!

მტერმა იცოდა ვის ემიზნებოდა! მტერმა იცოდა რომ კიროვის სახით პარტია და მისი დიდი ბელადი ამხ. სტალინი კარგავდენ საუკეთესო თავ დადებულ რევოლუციონური გრძნობით და ლენინურ-სტალინურ შეგნებით აღსავსე მებრძოლს.

მტერმა ისიც იცის რომ მას არავითარი საფუძველი არა აქვს ჩვენ ქვეყანაში! მტერმა იცის რომ მას არ ძალუძს მიიმხროს არც ერთი მშრომელი ადამიანი ჩვენ ქვეყანაში.

ამიტომ ის მიმართავს ტერორს. მტერს გონია რომ ის შესძლებს შეაჩეროს ჩვენი გამარჯვებული წინმსვლელობა ცალკეულ ტერორისტულ აქტებით. მტერი აქაც ისევე სცდა როგორც ის ყოველთვის ცდებოდა.

კიროვის სიკვდილმა დარაზმა ჩვენი ქვეყნის მშრომელები მათი ხელმძღვანელი პარტია ამხ. სტალინის გარშემო ისეთი ძალით რომ 160 მილიონიან ხალხის ერთსულოვნებამ განცვიფრებაში მოიყვანა მთელი მსოფლიო.

ლენინგრადის პროლეტარიატი დაობლდა მაგრამ მწუხარებაში ის უფრო მეტად გამოიბრძმედა ლენინის ქალაქის მშრომელებმა მტერს უპასუხეს განსაცვიფრებელი დარაზმულობით გამარჯვებული სოციალიზმის დროშის გარშემო? კიროვის სიკვდილმა ქვეყანა ღრმად დააფიქრა და მან ერთსულოვნათ გადაწყვიტა რომ მტერს შეტევაზე მძაფრი კონტრ-შეტევით უნდა უპასუხოთ, რომ მტერი უნდა განადგურდეს რომ საჭიროა სიფხიზლე სიფხიზლე და კვლავ სიფხიზლე.

კიროვი მოკლეს, მაგრამ ძლიერია დიადი სტალინის პარტია. ერთსულოვანია ჩვენი ქვეყანა. ექვსი დღე იმ წუთიდან როდესაც ჩვენ ქვეყანას მოედო კიროვის სიკვდილის ამბავი, ვიდრე მირონიჩის ფერფლი მისმა თანამებრძოლმა და უახლოეს მეგობარმა ამხ. ორჯონიკიძემ მიაბარა კრემლის კე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დელს. იყო დღეები მთელი ქვეყნის უდიდესი ერთ სულოვნებისა და სიმტკიცის. კიროვი მოკლა იმ ხალხმა რომლებიც ვერაგულათ ატყუებდენ პარტიას წლების განმავლობაში მკვლელობის სულის ჩამდგმელები იყვნენ ის ხალხი, რომლებმაც სახელი გაითქვეს როგორც რევოლუციის შტრეიკბრეხერებმა, გამყიდველმა პროლეტარიატის საქმის აშკარა მოღალატეებმა.

ზინოვიევი და კამენევი სახელგანთქმულები არიან ჩვენში როგორც პარტიის ინტერესების გამყიდველები.

კიროვის მკვლელობის სულის ჩამდგმელები იყვნენ ის ხალხი ,რომლებიც წლების განმავლობაში გაშმაგებით ებრძოდენ პარტიას და მის ხელმძღვანელობას.

ვერაგ მკვლელმა ნიკოლაევმა ხომ განაცხადა რომ კიროვთან ზინოვიევ-ტროცკისტულ ოპოზიციას ქონდა სპეციალური ანგარიში როგორც ერთ ერთ საუკეთესო გამოგამობრძმედილი მებრძოლი ამ ოპოზიციის წინააღმდეგ. სწორედ მირონიჩს მიუძღვის უდიდესი ღვაწლი ზინოვევის ჯგუფის განადგურების საქმეში ლენინელის ორგანიზაციაში.

ფრაქციულობას, ძლევამოსილ რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას, აქვს თავისი ლოღიკა. საქმე იწყება თითქოს ამა თუ იმ პოზიციების კრიტიკით თავდება კი ფაშისტური ტერორისტული მოქმედებით. ვის არ ახსოვს იმავე ზინოვიევის, კამენევის სიტყვა მე-17 ყრილობაზე. ეს იყო ვერაგული სიცრუე, რომლითაც მათ სურდათ შეესუსტებიათ ჩვენი სიფხიზლე. განა იგივე ვარდინი, რომელიც ყოველ წელს იფიცებოდა პარტიას თავის ერთგულობას, ჩვენში ცნობილი არ არის, როგორც აშკარა გადაგვარებული რევოლიუციის ინტერესების გამყიდველი.

კიროვის სიკვდილი ჩვენ მოგვიწოდებს განსაკუთრებულ სიფხიზლისაკენ. მტერი დამსხვრეულია, მას გამოეცალა ყოველგვარი სოციალური საფუძველი ეკონომიური საძირკველი. მაგრამ მისი ნარჩენები გაშმაგებით იბრძვიან. პარტია ერთსულოვანია, მთლიანია ისე როგორც არასოდეს, ის გამსჭვალულა სტალინური ნებისყოფით, ის თავდადებით იბრძვის თავის საყვარელ გენიალური ბელადის ხელმძღვანელობით სოციალიზმის საბოლოო გამტკიცებისათვის.



ამხ. ამხ. სტალინი, კაგანოვიჩი და პოსტიშევი დგანან საპატიო ყარაულში კიროვის ცხედართან

მაგრამ როგორც ეს კიროვის მკვლელობამ გამოამჟღავნა, თუ რომ ერთი წუთითაც მოდუნდება ჩვენი სიფხიზლე, მტერი მით ისარგებლებს. ჩვენი ქვეყნის მშრომელებთან ერთად, პარტიასთან ერთად კიროვის უმწიკვლო ხსოვნას გულში და სულში ატარებსა ჩვენი დიდი ქვეყნის ლიტერატურა და ხელოვნება. მუსიკის, მხატვრობის, ქანდაკების, კინოს და სიტყვაკაზმულ მწერლების საუკეთესო წარმომადგენლებ მუშათა კლასთან, პარტიასთან, მის ბელადთან ერთად ქედ მოხრილნი დგანან ჩვენი ქვეყნის საყვარელი ადამიანის — სერგეი მირონის-ძე კიროვის საფლავის წინაშე. მათთან ერთად ფიცს სდებენ დაუღალავი ენერგიით, კიროვისებური ცხოველი ტემპერამენტით და სიყვარულით იბრძოლონ იმ საქმისათვის, რომელიც მოასწავებს საზიზღარ შავბნელ ძველი ქვეყნის საბოლოო მოსპობას და ახალი სოციალისტური საზოგადოების სრულ გამარჯვებას.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. კიროვი ტფილისში ყოფნის დროს

**სურათზე:** ამხ. ამხ. მ. ცხაკაია, მუსაბეკოვი, შ. ელიავა, ფ. მახარაძე, ს. კიროვი, ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი.

# მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის ორგანიზატორი

დავკარგეთ აღგზნებული ბოლშევიკი - ტრიბუნი, მებრძოლი, ორგანიზატორი, მტკიცე ხელმძღვანელი, გულისხმიერი, უბრალო ამხანაგი სერგეი მირონისძე კიროვი. კიროვი გამოგვტაცეს ჩვენი რიგებიდან სოციალისტური მშენებლობის მომენტში, როცა პარტიას დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით, რომლის უახლოესი თანამებრძოლი და მეგობარი იყო ამხ. კიროვი, მხნედ და მტკიცედ მიჰყავს ჩვენი ქვეყანა კაცობრიობის ნამდვილი ბედნიერების მწვერვალებისაკენ.

ცნობა ძვირფასი მირონიჩის დაღუპვის შესახებ ღრმა, აუტანელ ტკივილს გამოიწვევს ამიერ-კავკასიის მშრომელთა გულში, იგი ამიერ - კავკასიაში მრავალი წლის მანძილზე მტკიცე საძირკველს უყრიდა სოციალისტურ შენობას, განსაცვიფრებელი ბოლშევიკური ენერგიით სჭედდა და კიდევაც გამოსჭედა ორჯონიკიძესთან ერთად ამიერ-კავკასიის ხალხთა ძმური ერთიანობა — ამიერ კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკა.

გვაგონდება კიროვის პირველი გამოსვლა ბაქოს საბჭოში ბაქოს მუშების აჯანყების და მათ მიერ ხელისუფლების დაპყრობის მეორე დღეს 1920 წელში. რევოლუციური ტრიბუნის ამ მგზნებარე სიტყვამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ბაქოს პროლეტარებზე. პირველ დღეებიდანვე მან მოიპოვა ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშების, აზერბეიჯანის მშრომელი გლეხობის სიყვარული და ნდობა. სათავეში ჩაუდგა რა აზერბეიჯანის ბოლშევიკებს, კიროვმა მოკლე ხანში დაიმსახურა აზერბეიჯანის და მთელი ამიერ - კავკასიის მშრომელთა სიყვარული და პატივისცემა. ნაციონალისტურ გადახრებთან და დაჯგუფებებთან ბრძოლაში, პარტიის ხაზიდან ყოველგვარ გადახვევასთან ბრძოლაში კიროვს უნდოდა დაერაზმა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები იმ ამოცანების განხორციელებისათვის, რომლებიც ამიერ - კავკასიის ორგანიზაციების წინაშე დასახა ამხ. სტალინმა, მისი ბაქოში ყოფნის დროს 1920 წელს.

კიროვის ხელმძღვანელობით მომზადდა ბაზა ნავთის მრეწველობის პირველი ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებისათვის, აზერბეიჯანის გადაქცევისათვის საბჭოთა კავშირში მებამბეობის მეორე ბაზად. ხელმძღვანელობდა რა ნავთის ფრონტს ბაქოში, სერგეი მირონისძე ცოცხლობდა ბაქოს ნავთის მრეწველობის მუშათა მთელი არმიის სიცოცხლით. იგი იცნობდა თვითეულ სარეწაოს, თვითეულ ჭაბურღილს. საკმაო იყო მისი გამოჩენა სარეწაოებზე, რომ ბოლშევიკური ენერგიით განემსჭვალა მუშები. აზერბეიჯანის ორგანიზაციის მუშაობის ხელმძღვანელობის დროს კიროვმა გვიჩვენა ლენინურ - სტალინური ნაციონალური პოლიტიკის განხორციელების, მშრომელი მასების ინტერნაციონალური აღზრდის, ნაციონალური კადრების მომზადების ბრწყინვალე ნიმუშები. კიროვის სახელი განუყოფლად დაკავშირებულია საბჭოთა ამიერ - კავკასიასთან. განუყოფელი დარჩა მისი კავშირი ამიერ-კავკასიასთან მაშინაც, როცა იგი მრავალი წლის განმავლობაში სათავეში ედგა ლენინგრადის ბოლშევიკურ ორგანიზაციას. ამიერ - კავკასიისთვის მძიმე პერიოდში 1930 წელს, როცა კოლექტივიზაციაში დაშვებულ იქნა უხეში მემარცხენო დამახინჯებანი. ჩვენი პარტიის და სტალინის დავალებით სწორედ კიროვი ჩამოდის ამიერ - კავკასიაში, სადაც პრაქტიკულად ეხმარება ამიერ - კავკასიის ბოლშევიკებს დაშვებული შეცდომების გამოსწორებაში.

კლასობრივმა მტერმა იცოდა ვის უმიზნებდა, მაგრამ მოგზავნილი მკვლელის საზიზღარი გასროლით არ შეიძლება შეჩერდეს პროლეტარიატის ძლევამოსილი წინსვლა სოციალიზმისაკენ. 1921 წელს ბაქოს 26 კომისრის საფლავთან წარმოთქმულ სიტყვაში ამხ. კიროვმა განაცხადა: **„თუ ეს ბანკირები— ესერები, მენშევიკები, ინგლისის იმ-**

პერიალისტები ფიქრობდენ, რომ მათ უკვე ამოგლიჯეს გული ბაქოს პროლეტარიატს, ისინი სასტიკად მოტყუვდენ“.

ვიმეორებთ რა კიროვის ამ სიტყვებს, ჩვენ ვამბობთ: — შეცდა კლასობრივი მტერი; ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც არასოდეს, მტკიცე და ძლიერია თავისი ტექნიკით, თავისი კულტურით, თავისი ორგანიზებულობით. პარტია — მშრომელთა მრავალმილიონიანი მასების ავანგარდი ისე, როგორც არასოდეს, მჭიდროდ დარაზმულია თავისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საყვარელ ბელადის სტალინის გარშემო. ამიერკავკასიის პროლეტარები, კოლმეურნეთა მთელი მასა, წმინდად შეინახავენ რა თავისი მირონიჩის ხსოვნას, მთელი საბჭოთა კავშირის პროლეტარებთან მხარდამხარ გაბედულად გასწევენ გამარჯვების გზით კლასობრივი მტრის სრულ განადგურებამდე, კომუნიზმის სრულ გამარჯვებამდე.

ბერია, ბაგიროვი, ხანჯიანი, ქუდრიავცევი, მუსაბეკოვი, მახარაძე, რახმანოვი, მგალობლიშვილი, ტერ-გაბრიელიანი, ლაკობა, ლევანდოვსკი, ლორთქიფანიძე, ოლინი.

○ ○ ○ ○

ა. შნიტკოვი

# კიროვი პარტიული ყრილობების ტრიბუნაზე

პარტიას ხშირად უსმენია კიროვისათვის პარტიული ყრილობის ტრიბუნიდან, ბოლშევიკისათვის ამ მეტად პასუხისმგებელ ტრიბუნიდან. ჩვენი პარტიის ერთერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე ორატორი, ს. მ. კიროვი თავის გამოსვლებში პარტყრილობებზე წარმოადგენდა ნამდვილ „მძიმე არტილერიას“, რომელიც მთელი თავისი გამანადგურებელი ძალით უპირველეს ყოვლისა თავს დაატყდებოდა მათ, ვინც ასე თუ ისე წინ ეღობებოდა პარტიას და უშლიდა მის ძლევამოსილ წინსვლას.

პროლეტარიატი დიდი ბელადების — ლენინის და სტალინის — მოწინავე და თანამებრძოლი — ამხ. კიროვი მშვენივრად ფლობდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, ყველაზე ურთულესი საკითხების დიალექტიური მეთოდით ანალიზს. იგი მშვენივრად ფლობდა აგრეთვე სიტყვასაც და დებდა მასში დაუღალავი რევოლუციონერის მთელ მდუღარე ვნებას.

ამხანაგ კიროვის გამოსვლების მჭრელი ისრების წვერი პირდაპირ მიზანში ხვდებოდა და ანადგურებდა პარტიის მტრებს. მის გამოსვლებს ყოველთვის უდიდესი ინტერესით ხვდებოდა მთელი ყრილობა, პარტია, ქვეყანა. ღრმა პრინციპულობა და პარტიულობა, მძაფრი და მკვეთრი აზრი, გულწრფელობა, რწმენა, ცოცხალი და ძლიერი ფორმა,—ყველაფერი ეს დამსახურებულ წარმატებას უქმნიდა ს. მ. კიროვის გამოსვლებს, რომელნიც ყოველთვის აღელვებდა პარტიულ და უპარტიო ფართო მასას.

და ახლა, მისი გამოსვლების გადათვალიერების დროს, კიდევ ერთხელ გრძნობ ამ მოუდრეკელ პროლეტარულ მებრძოლის მთელ სიდიადეს და მოხიბლვას, რაც სამართლიანად ეკუთვნოდა ლენინურ ცენტრალურ კომიტეტის ხელმძღვანელობის იმ ბირთვს, რომელმაც დიად **სტალინის** მეთაურობით ყოველგვარ ოპორტუნისტების ხელისუფლებისაგან შეინარჩუნა ლენინის მოძღვრების სიწმინდე და გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიყავს ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატი და მშრომელები. პარტიის გენიალური ხაზის სისწორისადმი უაღრესი რწმენა. ხაზისადმი, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა ერთად-ერთი სწორი გზით მიყავს სოციალიზმის სრულ გამარჯვებისაკენ, იყო მასაზრდობელი წყარო ამხ. კიროვის იმ მძაფრი სიძულვილისა, მტკიცე შეურიგებლობისა ოპორტუნიზმთან, ყოველგვარ ოპოზიციასთან, ყველა იმათდამი, ვინც არყევდა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის რიგებს, ვინც ძირს უთხრიდა მის მთლიანობას და მერყევად ხდიდა მის რკინისებურ დისციპლინას.

* * *

1925 წლის დეკემბერი. **XIV პარტიული ყრილობა**— ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ყრილობაა. ზინოვიევის ოპოზიცია აწარმოებს შეტევას პარტიაზე და მის ლენინურ ხელმძღვანელობაზე. ოპოზიცია, რომელიც გამოხატავდა წვრილ ბურჟუაზიულ სტიქიის დაწოლას ჩვენი პარტიის ზოგიერთ რგოლზე, ისტერიულად ყვიროდა პარტიის „გადარჩენის“ აუცილებლობაზე დემაგოგია, შეუმოწმებელი და განგებ შეთხზული ციფრები, ცილისწამება — ყველაფერს უნდა მობილიზება ოპოზიციამ პარტიის ლენინურ ხელმძღვანელობის წინააღმდეგ.

ამხანაგ კიროვის სიტყვა ყრილობაზე მაგრად ამათრახებდა ოპოზიციონერებს, ამჟღავნებდა პარტიის წინააღმდეგ მიმართულ მათ ბრალდებათა მთელ სიყალბეს და უნიადაგობას. იგი მწარედ დასცინოდა პარტიის დაუპატიჟებელ მსმენელებს“.

ოპოზიციონერები ზედმეტად ბერავენ სოფლად კულაკის ზრდას, გაყვირიან „პარტიის კაპიტულაციის შესახებ კულაკის წინაშე“. იცნობენ კი ოპოზიციონერები ამჟამად სოფელში მიმდინარე ნამდვილ პროცესებს?—კითხულობს ამხანაგი კიროვი. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ციფრების იქით, რომელნიც ყალბი გამოდგენ, ისინი სოფელს არ იცნობენ. ციფრებით და ფაქტებით ხელში აზერბეიჯანის მაგალითზე ამხ. კიროვი განმარტავს იმ ნამდვილ პროცესებს, რომელთა ადგილი აქვს სოფლად. შემცირდა იმ გლეხთა რიცხვი, რომელთაც არ მოეპოვებოდათ ნათესები. რას მოწმობს ეს?

**„ეს მოწმობს მას, რომ ჩვენ ხელში, სახელმწიფოს ხელში ეხლა ისეთი ბერკეტი მოიპოვება, რომლის საშუალებითაც ჩვენ მეტისმეტად საგრძნობლად და მეტად ზერიოზულად შეგვიძლია გავლენა მოვახდინოთ იმ ეკონომიურ ურთიერთობაზე, ბაზე, რომელთაც ადგილი აქვს სოფელში“, — ამბობს ამხ. კიროვი.**

ამხ. კიროვი ფარდას ხდის ოპოზიციის „პრაქტიკულ წინადადებათა მთელ უბადრუკობას, მისი „პერსპექტივის“ მცდარობას.

**„ახლა მიმდინარეობს, — ამბობს ამხ. კიროვი — ჩვენი მეურნეობის უდიდესი ზრდა, აღვიძებს ჩვენი ქვეყნის ყველა მთვლემარე ძალები. ეჭვი არაა, რომ ამ გზაზე ჩვენ ჯერ კიდევ შევხვდებით მილიონ სიძნელეებს, რომელნიც ჩვენ პარტიას უდიდეს დაძაბვას მოსთხოვენ, არა ნაკლებს ვიდრე ეს იყო სამხედრო კომუნიზმის დროს. —ახლოებით ასეთ ზოლში შევდივართ ახლა ჩვენ. ჩვენ მშვენივრად გვესმის რა პირობებში გვიხდება მუშაობის გაშლა“...**

პარტიის მთლიანობა, ოპოზიციის სწრაფი ლიკვიდაცია, ლენინიზმის სიწმინდე— აი რაა საჭირო უპირველეს ყოვლისა იმისათვის, რომ წარმატებით დავასრულოთ აღდგენითი პერიოდი და შევუდგეთ რეკონსტრუქციას, რათა ძლევამოსილად გავსწიოთ წინ.

* * *

1927 წ. დეკემბერი. **XV პარტიული ყრილობა** — ჩვენი ქვეყნის კოლექტივიზაციის ყრილობა, ტროცკისტული ოპოზიციის საბოლოო განადგურების ყრილობა. დამსხვრეულ „ოპოზიური ბლოკი“ ჯერ კიდევ ცდილობს შეინარჩუნოს პარტიაში „ცხოვრების უფლება“ და ამისთვის ჩქმალავს ნამდვილ უთანხმოებას და აძინებს პარტიის სიფხიზლეს.

თავის ძლიერ გამოსვლაში ამხ. კიროვი დაუზოგავად ამხელს ოპოზიციას:

**„რა თქმა უნდა, ამხანაგებო, ბევრი რამის გამოყენება შეიძლება საშუალებად, მაგრამ რაც არ უნდა იყოს, პარტიაში ჩვენ მოგვეპოვება ისეთი საგნები, რომელთა შესახებ ბოროტი მითქმა-მოთქმა დაუშვებელია, თუნდაც ყველაზე უხუცესებისა და ყველაზე დამსახურებულისათვის ჩვენ შორის. მე ვლაპარაკობ პარტიის მთლიანობაზე“...**

ტროცკისტულ ოპოზიასთან დავაში ძირითადი საკითხი იყო — საკითხი სოციალიზმის აშენებისა ერთ ქვეყანაში. აქაა ძირითადი პრინციპული უთანხმოებანი. ოპოზიციას არ სწამს ჩვენ ქვეყანა-

ში სოციალიზმის აშენება და კაპიტალისტურ გზაზე მიეზიდება პარტიას.

„როდესაც ისინი გამოდიან, — ამბობს ამხანაგი კიროვი, — და გვედავებიან ჩვენ იმის შესახებ, ვაშენებთ ჩვენ სოციალიზმს თუ რაღაც სუზდალის ბაზრობის მსგავსი რამ გამოგვიდის, ეს არათუ გასაგებია ყოველ უპარტიო მუშისათვის, არამედ ეს უახლოესად და უშუალოდ ეხება მას. ამიტომ იყო, რომ ოპოზიცია ესოდენი სიფრთხილით უდგებოდა ამ თემას და არც ისე ერთბაშად წარმოუთქვამს თავისი ფორმულა ჩვენ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესახებ. და როდესაც ისინი მიდიან იმ ქარხნებში, სადაც ასე „სწყურიათ“ მათი ნახვა, რასაც ისინი გაჰყვირიან ყოველ კუთხეში, მუშები ეუბნებიან მათ: გეყოფათ, კარგი, წადით, ნუ გვიშლით ხელს მუშაობაში, შეინახეთ თქვენი მავნე ოპოზიციური ლიტერატურა, ნუ აგვრევთ, მოგვეცით საშუალება თქვენგან შემოტანილი არევდარევის გარეშე — დაბრკოლებები ისედაც გვეყოფა წარმოებაში — ვაშენოთ სოციალიზმი ჩვენს ქვეყანაში. მუშებს ეს მშვენივრად ესმით, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს არ ესმის ოპოზიციას“.

ამხ. კიროვი მოუწოდებს ჩვენ ქვეყანაში სოციალიზმის აშენებლობის დიადი საქმის უდიდესი ენერგიით განგრძობისაკენ.

„ამის ნაყოფიერად განხორციელებას, —ამბობს ის, — ჩვენ შევძლებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მშრომელთა ახალი მილიონები ამ ამოცანას მიუდგებიან ორგანიზებულად, შეგნებულად, როცა ყოველი, როგორც ამბობს ამხ. სტალინი, არა თუ ისწავლის ცურვას, არამედ ეცოდინება ისიც თუ საით მიცურავს“.

მაგრამ წინსვლა შეუძლებელია, თუ უკუვაგდე ისინი, ვინც ფეხებში გეჩხირება, ვინც პარტიას წინ ეღობება ვინც სწორი გზიდან განზე ეზიდება მას. ოპოზიციის საბოლოო განადგურება და მოსპობა — აი ამოცანა.

„ამ უდიდეს მობრუნებაზე, — ამბობს ამხ კიროვი, — წვრილბურჟუაზიული ხოჭოები აწვება ჩვენი პარტიის ზოგიერთ რგოლს. იმისათვის, რომ ჩვენ წარმატებით, დაუბრკოლებლად განვაგრძოთ ჩვენი საქმე, რომ შევიცოდოთ, ვუთანაგრძნოთ და ადამიანური გრძნობის მიხედვით აღარ აუშალოთ ნერვები ოპოზიციის წარმომადგენლებს, ჩემის აზრით, ახლანდელ XV ყრილობაზე ჩვენ უნდა დავამთავროთ ის, რაც დაუმთავრებელი დარჩა პარტიის XIV ყრილობაზე: ჩვენი ოპოზიცია მოკვეთილი უნდა იქნეს ისტორიის უფსკრულში, და ჩვენი გზა კი არის სულ წინ და მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისაკენ“ (მქუხარე ტაში).

1930 წლის ივნისი. XVI პარტიული ყრილობა მთლიანი ფრონტით გაშლილი სოციალისტური შეტევის ყრილობა. მთლიანი კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლით პარტიამ მოახდინა უდიდესი ისტორიული მობრუნება. მიღწეულია სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებები. პარტიამ სძლია მემარჯვენე ოპოზიციის გაავთრებული წინააღმდეგობა. მემარჯვენე გადახრის ყოფილი ლიდერები „მოსანანიებელი“ სიტყვებით გამოდიან ყრილობებზე, მაგრამ ეს გამოსვლები ყალბია, მათში არა საკუთარი შეცდომების მთელი სიღრმის ნამდვილი აღიარება.

ამხანაგი კიროვი მთელის თანამიმდევრობით ააშკარავებს მემარჯვენე გადახრის ყოფილ ბელადების ყოფაქცევის ნახევრადულ ხასიათს და სიყალბეს.



ოქტომბრის რევოლუციის 17 წლის თავი მოსკოვში. ავიო-ნაწილები საზეიმო მარშით წითელ მოედანზე.

○ ○ ○ ○

„ამ აუდიტორიის წინაშე — ამბობს ამხანაგი კიროვი, — საჭიროა საკითხი დაისვას მკაფიოდ, უბრალოდ და ბოლშევიკური გარკვეულობით“...

და იგი თანამიმდევრულად, ფეხდაფეხ ამჟღავნებს მემარჯვენე ოპორტუნიზმის კონტრ-რევოლუციურ შინაარსს, „ვიწრო ადგილებზე სწორების“ ქადაგებას, ინდუსტრიალიზაციის ტემპების შენელებას, ნეპის ლიბერალურ განმარტებას, ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაზე იმედების დამყარებას, „კულაკის სოციალიზმში მშვიდობიანი შეზრდის“ თეორიას.

„ყოველგვარ ბურჟუაზიულ, ჩვენი ქვეყნის გარეშე მყოფ კონტრ-რევოლუციას, — ამბობს ამხანაგი კიროვი, — ჩვენ ქვეყანასთან უშუალო დაკავშირება აქვს კულაკის მეშვეობით. და თუ მემარჯვენე ოპორტუნისტები გამოდიან კულაკურ ბუდეთა ჩვენი მეურნეობის სოციალისტურ სისტემაში მშვიდობიანი შეზრდის აუცილებლობის ქადაგებით, ყველამ ვინც ამას ირწმუნებს უნდა იცოდეს, რომ ამით ჩვენი ქვეყნის გარეშე მყოფ კაპიტალიზმის დაკავშირება კაპიტალიზმის ნარჩენებთან ჩვენ ქვეყანაში — ოპორტუნისტების თვალში — არ წარმოადგენს იმ საშიშროებას, რომელსაც მუდამ, უდიდესი ძალით ხაზს უსვამს ჩვენი პარტია და რაც გვავალებს ჩვენ ყოველი საშუალებით ვამაგროთ საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის საქმე“.

პარტია ვერ მოითმენს მემარჯვენე უკლონისტებისაგან ვერავითარ თამაშს და ყალთაბანდობას.

„რა გვჭირდება ჩვენ ახლა? — აყენებს საკითხს ამხანაგი კიროვი. — რას ელის ჩვენგან პარტია და მუშათა კლასი, მემარჯვენე ოპოზიციის ბელადო ამხანაგებო? თქვენ ბოლშევიკური კვალიფიკაცია უნდა მისცეთ თქვენ პროგრამას და ღრმა თეორიულ კვლევა-ძიების მოხდენის გარეშე, პირდაპირ განაცხადოთ, რომ თქვენი პროგრამა არსებითად კულაკური პროგრამა არის (ხმები: „სწორია“. ტაში), რომლის განხორციელება საბოლოო ანგარიშით დაღუპავდა პროლეტარიატის დიქტატურას და კაპიტალიზმის რესტავრაციამდე მიგვიყვანდა“.

პარტია მოითხოვს უკლონისტების სრულ განიარაღებას, და პარტიის გენერალური ხაზისათვის აქტიურ ბრძოლას. ამის გარეშე იმათ არა აქვთ ადგილი პარტიის რიგებში.

„ჩვენი პარტია არის რევოლუციონერების, ბოლშევიკების, ლენინელების პარტია. ჩვენ გვჭირდება მომქმედი, აქტიური პარტია, — ამბობს ამხანაგი კიროვი.

„ამხანაგებო, იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის შემდგომი წარმატება, ჩვენი პარტიის XVI ყრილობაზე ჩვენ მტკიცედ, გადაჭრით და ერთხელ და სამუდამოთ ბოლო უნდა მოუღოთ მემარჯვენე გადაჭრას (ტაში). მტკიცედ, გადაჭრით და ერთხელ და სამუდამოდ“...

„საჭიროა ზრუნვა ძირითად რამეზე— სახელდობრ მასზე, რომ ჩვენი დიადი ორმილიონიანი ლენინური პარტია იყოს ნამდვილი კლდე, რომელზედაც თავი უნდა დაიმტვრიონ ყველა იმათი, ვინც გადაეღობება ძლევამოსილად მოზარდ სოციალიზმს“ (ტაში).

* * *

1934 წლის იანვარი. მე-17 პარტყრილო

1934 წლის იანვარი. მე-17 პარტიული ყრილობა — სოციალიზმის უდიდეს, გამარჯვებათა ყრილობა — უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყრილობა. ამხანაგ კიროვის გამოსვლა — ყრილობაზე ერთი ყველაზე უფრო ბრწყინვალე გამოსვლაა,

ამხ. კიროვი ლაპარაკობს ამხ. სტალინის მოხსენებაზე; როგორც ჩვენი ეპოქის ყველაზე უფრო მკვეთრ დოკუმენტზე, როგორც მთელი ჩვენი პარტიის პროგრამაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ოქტომბრის რევოლუციის 17 წლის თავი ტფილისში. ფიზკულტუროსნების კოლონა დე მონსტრაციაზე.

○ ○ ○ ○ ○

ამხ. სტალინის მოხსენებაშიო, — ამბობს ამხანაგი კიროვი, არის არა მარტო ჩვენ მიერ ჩატარებული მუშაობის შეჯამება, ამხანაგმა სტალინმა ულრმესი მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საშუალებით დაგვანახვა **რა გზით მივაღწიეთ ჩვენ ამას**, რატომ მივაღწიეთ ჩვენ ამას. ამხ. სტალინი არ დაკმაყოფილდა თავისი მოხსენების საანგარიშო მხარით. მან გადაშალა ჩვენს წინაშე უახლოესი წლების მუშაობის გიგანტური პერსპექტივების, ჩვენი დიადი პროგრამის ახალი ფურცელი. ამაზე მეტიც, ამხანაგებო, იქ არა თუ დახატული და მოხაზულია ამ მუშაობის პროგრამა, ამხანაგმა სტალინმა ჩვენ ისიც გვითხრა — **თუ როგორ უნდა განვახორციელოთ** ეს პროგრამა, როგორ უნდა განვამტკიცოთ და გავამრავლოთ ჩვენი სოციალისტური მშენებლობა.

ამხანაგმა კიროვმა წინადადება მისცა ...რილობას „როგორც პარტიული კანონი ...იღოს ასასრულებლად ამხ. სტალინის ...ნგარიშო მოხსენების ყველა დებულებე... და დასკვნები". ყრილობამ მქუხარე ...ვაციით უპასუხა ამ წინადადებას.

ამხანაგი კიროვი მახვილად დასცინის ... ყოფილ ოპოზიციონერებს, რომელნიც ...რტიის დიადი ბრძოლების დროს ...ბოზში" ისხდენ და ახლა „უხმატკბილებიან" პარტიის გამარჯვებებს.

ჩვენი გამარჯვებები დიადია, მაგრამ ...ავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გვი...ვეინებზე მოსვენება და დამშვიდება. სა...როა უდიდესი სიფხიზლე.

„ბრძოლა არ გათავებულა, ბრძოლა გრძელდება, — ამბობს ამხანაგი კიროვი, — წინ გვიძევს იმ პროგრამის განხორციელება, რომელიც დაგვიხატა ამხ. სტალინმა".

„ჩვენ წინ ჯერ კიდევ ბევრი საზრუნავი და თავსატეხი საქმე ძევს, თვითეული ჩვენგანისათვის და მთელი მუშათა კლასისათვის. და შეიძლება ისეც მოხდეს, რომ ზოგიერთ ცალკეულ ამხანაგებს და შესაძლოა ცალკეულ ჯგუფებსაც კი ზოგიერთ რამეში ერთგვარი გულიგატეხა შეხვდეთ. — ეს არაა გამორიცხული. ამიტომ... ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ისეთი გაკვეთილი, რომ ჩვენთვის აუცილებელია მომავალშიაც ჩვენს კომუნისტურ პარტიის რიგებში დავიცვათ უდიდესი და ულრმესი პარტიული სიფხიზლე და რკინისებური ბოლშევიკური დისციპლინა. ისე, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ, ის, რომ დამარცხებული ოპოზიციონერები ყოველმხრივ ცდილობენ მიეტმასნონ ჩვენს გამარჯვებებს, არავითარ შემთხვევაში დღის წესრიგიდან არ ხსნის საკითხს იმის შესახებ, რომ ჩვენ მომავალშიაც უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის სიწმინდეს და ხელშეუხლებლობას. (ტაში).

ამხ. კიროვი ლაპარაკობს იმ აუცილებლობაზე, რომლის ძალით არა თუ არ უნდა დაიბლაგვოს, არამედ კიდევ უფრო უნდა გაილესოს ჩვენი ბრძოლის უმნიშვნელოვანესი იარაღი — ბოლშევიკური თვითკრიტიკის იარაღი.

„მეცნიერება მასალათა გამძლეობის შესახებ მეტის-მეტად საჭირო მეცნიერებაა — ამბობს ამხანაგი კიროვი. — მაგრამ ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ გარემოცვაში, როდესაც მეცნიერებას, რომელიც სწავლობს ჩვენ პირისპირ მდგომ კლასების წინააღმდეგობის საკითხს, უნდა ეჭიროს პირველი ადგილი" (მგრგვინავი ტაში).

„**ლენინიზმით შეიარაღებული ყოველი ჯურის ოპორტუნიზმთან შეურიგებელ ბრძოლაში, თავის რიგებში ბოლშევიკური ალზრდის ფართო დაყენებით, ჩვენი პარტია როგორც არასოდეს მთლიანი მონოლიტური, მტკიცე და შემჭიდროებულია თავისი ცეკას და თავისი ბელადის ამხანაგ სტალინის გარშემო.**

○ ○ ○ ○ ○



ოქტომბრის რევოლუციის 17 წლის თავი ტფილისში. ტრიბუნაზე დგანან ამხ. ამხ. სერგო ორჯონიკიძე და ლევანდოვსკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს. ბუდიონი

# პირველი შეხვედრა კიროვთან

ეს იყო იმ ხანებში, როდესაც წითელი არმია ძლევამოსილად წინ მიიწევდა და ანადგურებდა დენიკინის ძალების უკანასკნელ ნარჩენებს. ჩრდილო-კავკასიის ფრონტი რამოდენიმე არმიას შეიცავდა. მე-11 არმია, რომლის სამხედრო-რევოლუციურ საბჭოშიაც კიროვი მუშაობდა, მარცხენა ფრთაზე იდგა, მე-10 არმია და 1-ლი ცხენოსანი — ცენტრში, მარჯვენა ფრთაზე კი — მე-9 და მე-8 არმიები იდგა.

და აი აქ, ჩრდილო-კავკასიაში, გავიცანი სერგეი მირონოვიჩი. ჩვენი პირველი შეხვედრა მოხდა 1920 წლის დასაწყისში, ჩრდილოეთ-კავკასიის ფრონტის რევოლუციურ-სამხედრო საბჭოს ვაგონში — ამხ. ამხ. ორჯონიკიძე და ტუხაჩევსკისთან, სადაც ირჩეოდა საკითხი თეთრების საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ.

გადაწყდა, რომ მე-11 არმია გაემართება ბაქოს მიმართულებით, 1-ლი ცხენოსანი კი ტუაპსეზე, შავი ზღვის სანაპიროების დასაჭერად. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო და მის წარმატებებზე დამოკიდებული იყო თეთრ არმიათა განადგურება.

კიროვი წყნარად იჯდა და ყურადღებით ისმენდა სარდლობის მოსაზრებებს. შემდეგ აიღო სიტყვა თავისი წინადადების შემოსატანად, ლაპარაკობდა მოკლედ და ნათლად.

მისი წინადადება ასეთი იყო: მე-11 არმიას ეძლეოდა მეტად სერიოზული ამოცანა ბაქოს აღებისა, მაგრამ რადგანაც იგი არ იყო დიდი, და ამას გარდა მეტად მოღლილიც იყო, ასტრახანის ტრამალებში ლაშქრობით, კიროვის აზრი იყო, რათა იგი შევსებულიყო მე-10 არმიის ფეხოსანი ნაწილებით და კურიშკას ცხენოსან ჯარით.

მე ყურადღებით ვისმენდი სერგეი მირონოვიჩს და მან მოახდინა ჩემზე ისეთი კაცის შთაბეჭდილება, რომელიც ტყუილა სიტყვას არ დახარჯავდა. და მახსოვს მაშინვე მივაქციე ყურადღება მას, რომ კიროვს მშვენივრად ესმოდა ცხენოსანი ჯარის ოპერატიული მნიშვნელობა სამოქალაქო ომში.

ჩრდილო-კავკასიის სამხედრო-რევოლუციურმა საბჭომ მიიღო კიროვის წინადადება და როგორც უსათუოდ სწორი და მიზანშეწონილი და მე-11 არმიამ მიიღო საჭირო შევსება.

შემდგომ კიროვმა მოაწყო ცხენოსანი ბრიგადის ისტორიული გადასვლა მამისონის უღელტეხილზე. ცხენოსანმა ჯარმა კავკავიდან გადაიარა კავკასიის ქედი. მე ვიცნობ ამ მძიმე და ძნელ უღელტეხილს, მისი მთელი ბრიგადით გადალახვა, თითქმის შეუძლებლად მიმაჩნდა. წითელი მხედრები ყინულში და ხუთმეტრიან თოვლში იკაფავდნენ გზას. კიროვმა დაამტკიცა, რომ მას შესწევდა ცხენოსანი ჯარის მშვენივრად გამოყენების უნარი. და მართლაც ეს იყო საუცხოვო რეიდი, როდესაც ჩვენი ნაწილები სავსებით მოულოდნელ ადგილზე აღმოჩნდნენ და გზა გადაუჭრეს ტფილისელ მენშევიკებს, რომელნიც ბათომისაკენ გაბრუნდნენ. კიროვი — ორგანიზატორი, კიროვი — სამხედრო სტრატეგი, კიროვი — მასიური მუშაკი, — ყველა ეს მისი ბრწყინვალე თვისებები გამომჟღავნდა ამ ოპერაციის დროს. და როდესაც იმჟამად უკრაინაში მყოფმა, გავიგე მამისონზე გადასვლის ამბავი, მე გავიფიქრე: „რა თქმა უნდა მართალია, ამის უნარი კიროვს ჰქონდა მეთქი“.



ახალი შადრევანი. ელბაქიძის ქუჩის დაღმართზე ბაღში გაშენებული იქნა ახალი შადრევანი „სოკოს“ მსგავსი ფორმით.

# პროლეტარულ სახელმწიფოს ელჩი
## თეთრ ტფილისში

**რ. რუბინოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკური საქართველო—საერთაშორისო იმპერიალიზმის ეს დასაყრდენი — თავისი არსებობის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა; როდესაც საბჭოთა დროშა პროლეტარულ ბაქოს თავზე აღიმართა, ეს იყო წინამორბედი მთელი ამიერკავკასიის განთავისუფლებისა იმპერიალიზმის ხუნდებისაგან, ეს იყო მუსავატელების, დაშნაკების და მენშევიკების აღსასრული, ეს იყო ველურ ეროვნულ შუღლის დასამარება.

საბჭოთა რუსეთს და მენშევიკურ საქართველოს შორის დადებული იყო ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებამ გააღო საქართველოს ყველა ციხის კარები. საპყრობილეებში მყოფმა ბოლშევიკებმა, მუშებმა და გლეხებმა, ნახეს თავისუფლება.

ამხ. კიროვი დანიშნული იყო საბჭოთა ელჩად საქართველოში. დიდის მოუთმენლობით ელოდენ თბილისის რევოლუციური მუშები მის ჩამოსვლას. შიშით და კრძალვით ელოდენ, მეორეს მხრივ, კიროვის ჩამოსვლას ყველა ისინი, ვინც სამი წლის ხელისუფლებას როგორც სილატაკის და „ქალების სოციალიზაციის" რეჟიმს და სხვ.

და არ იყო შემთხვევითიის, რომ პირველი სიტყვა, რომელიც ტფილისის მშრომელებმა მოისმინეს საბჭოთა ელჩ კიროვისაგან, მან მიუძღვნა ბოლშევიკების და საბჭოების წინააღმდეგ გავრცელებულ ცილისწამების გამომჟღავნებას.

საბჭოთა საელჩოს შენობის წინ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი აივანზე გამოჩნდა კიროვი. ენერგიით და ნებისყოფით სავსე, მომხიბლავი ღიმილით წინმდგომი ეს ძლიერი კაცი ანსახიერებდა საბჭოთა ქვეყნის ნებისყოფას, ენერგიას და ძლიერებას.

კიროვმა აივნიდან ბრწყინვალე სიტყვა წარმოსთქვა. ეს იყო შეუპოვარი ბოლშევიკის ცეცხლივით მგზნებარე სიტყვა. სიტყვა აღსავსე სარკაზმით მენშევიკური ცილისწამების წინააღმდეგ, რომელსაც ისინი ანთხევდენ ბოლშევიკებზე და საბჭოებზე.

„აი თქვენს იწნაშე საბჭოთა რუსეთიდან მოსული ბოლშევიკია, რითი ვგევართ ჩვენ იმ საოცნებას, რომლის შესახებაც სამი წლის განმავლობაში წერდინ და მოგითხრობდენ თქვენ აქ?".

სიტყვის ოსტატი, ნიჭიერი პროლეტარული ტრიბუნი; მოკლიო და ნათლად უშლიდ შეგროვილ ხალხს იმის სურათს, თუ ვინ არიან ბოლშევიკები და რისთვის იბრძვის საბჭოთა ქვეყანა. ხალხმა რამოდენიმეჯერ გაუმართა კიროვს ოვაცია, თითოეული მისი სიტყვა მხურვალე შანთივით ესობოდა მენშევიზმის ზებერ და დაუძლურებულ ტანს. მენშევიკების შ[illegible]ითა ცდა, რომ



ოქტომბრის რევოლუციის 17 წლის თავი ტფილისში. წითელი არმიის ალლუმი.

ხალხი გაერეკათ ამაო იყო. ამბავი კიროვის გამოსვლის შესახებ სწრაფად მოედო მთელ ტფილისს.

კიროვი — ტფილისის რევოლუციური მუშები ამ სახელს იმეორებდენ სიყვარულით და მოახლოვებული გამარჯვების იმედით.

კიროვის სიტყვა რევოლუციური ქარიშხალის იწნამორბედი იყო. მისი ცეცხლი ყველას იმედს უნერგავდა, რომ მალე გქრებოდა მენშევიკური რეაქციის ნაკვალევიც კი. მისი ღიმილი რევოლუციურ გაზაფხულს მოასწავებდა.

...გამარჯვებამაც არ დაიგვიანა. და არავითარ ძალას არ შეუძლია დაუბრუნოს იგი ანარქიას.

კლასობრივი მტრის აგენტმა, რომელმაც განგმირა ამხ. კიროვი, იცოდა რა ტკივილს აყენებდა იგი პარტიას, მუშათა კლასს და პროლეტარიატის ბელადს ამხანაგ **სტალინს,** რომელმაც კიროვის სახით დაკარგა თავისი საუკეთესო მეგობარი და თავისი იდეების ერთგული გამტარებელი.



ტენისის მოთამაშე ქალები დემონსტრაციაზე

იმ მრავალ სურათებს შორის, რომელიც გადმოგვცემს ოქტომბრის რევოლუციის გენიალური ბელადის ამხ. ვლ. ლენინის სახეს, ფიგურას სხვადასხვა მომენტებში, ცნობილია ერთი ასეთი სურათი წითელ მოედანზე ვლ. ლენინი, სვერდლოვისა და სხვა ამხანაგებით გარშემორტყმული იცქირება მაღლა ცისკენ?

მილიონ მშრომელს უნახავს ეს სურათი ილიჩი ჯიბეში ხელებ ჩა-

ლენინი გასცქეროდა არა ესკადრი წყობილი მშვიდათ იცქირება, მაგრამ ძნელად თუ ვინმე იტყვის თუ რას შესცქერის ლენინი. ჩვეულებრივ ამბობენ, რომ ლენინი გასცქერის ქალაქის თავზე ცაში მოცურავე თვითმფრინავთა ესკადრილებს, ეს ნაწილობრივ მართალია და ნაწილობრივ არა.

ლიებს და არც ესკადრილიას, არამედ ერთად-ერთ თვითმფრინავს, რომელიც მონაწილეობას იღებდა ოქტომბრის რევოლუციის პირველი წლის თავზე 7 ნოემბერს 1918 წლის აღლუმზე.

ლენინი სხვებთან ერთად გამოსული ოქტომბრის რევოლუციის წლის თავის აღლუმზე სადღესასწაულოთ სიხარულით შესცქერის თვითმფრინავს, რომელიც ქალაქის თავზე დაფრინავდა. ან როგორ შეიძლებოდა ამას არ გამოეწვია სიხარული, თვითმფრინავი გამარჯვების რწმენას ნერ გავდა მაყურებელში რადგან ჯერ კიდევ სამოქალაქო ომის ცეცხლი ტრიალებდა, ჯერ კიდევ რევოლუციას მეფის თეთრგვარდიელი გენერლებისაგან საფრთხე მოელოდა. პროლეტარიატი დღესასწაულობდა მტა-



რვალებზე თავის გამარჯვების პირველ წელს. ეს სიხარული აღბეჭდილია სწორედ ლენინის სახეზე. თუ რას შესცქეროდა ამ სურათზე ლენინი. გამოირკვა ეს ამბავი სრულიათ შემთხვევით. რუსეთის ავიაციის „ბაბუათ“ წოდებულ მფრინავი ბორისი როსოვსკის 25 წლის საავიაციო მოღვაწეობის სადღესასწაულო ზეიმის დროს.

ერთ-ერთმა ძველმა ბოლშევიკმა ამხ. აროსევმა თავის მისასალმებელ სიტყვაში გაიხსენა ოქტომბრის რევოლუციის პირველი წლის თავი და ჩვენი ავიაციის ამ „ერთეულის“ ამბავიც. თვითმფრინავს მართავდა ლურმე ამხ. როსოვსკი, ერთად-ერთ მგზავრად იჯდა მასში ამხ. აროსევი, რომელიც გაფრენის [illegible] მოწოდების ფურცლებს ყრიდა ქალაქის თავზე.

წითელ ავიაციას იმ პერიოდში ყავდა ძალზე ცოტა თვითმფრინავები, რომელსაც ხუმრობით „კუბოებს“ ეძახდენ უმეტეს შემთხვევაში. ეს თვითმფრინავები სამოქალაქო ომის ფრონტებზე იყო და აშკარაა ისინი აღლუმში მონაწილეობას ვერც მიიღებდენ ლენინი შესცქეროდა იმ ერთად-ერთ თვითმფრინავს, რომელსაც მართავდა როსოვსკი, რომელსაც ლენინი „ავიაციის კომისარს“ უწოდებდა.

16 წლის წინათ ოქტომბრის დღესასწაულზე ქ. მოსკოვში მონაწილეობას იღებდა ერთად-ერთი თვითმფრინავი. თუ რა დიდათ წავსულვართ წინ ამას ამტკიცებს ოქტომბრის რევოლუციის 17 წელი; როცა არა თუ მარტო ქ. მოსკოვის თავზე არამედ საბჭოთა ყველა ქალაქების თავზე მერცხლებივით დაფრინავდენ უამრავი თვითმფრინავები.

ჩვენი—საბჭოთა ავიაციის გამოცდისა და გამარჯვების ტრიუმფს წარმოადგენდა ჩელუსკინელთა გადარჩენის ეპოპეია. ჩვენი თვითმფრინავები და მისი მართველი ავიატორები ამყარებენ მსოფლიო რეკორდებს. განა უდიდეს წინსვლას არ ნიშნავს თუნდაც მფრინავი ამხ. გრომოვის გადაფრენა? ჩვენვე ქვეყანაში გაკეთებული თვითმფრინავით ამხ. გრომოვმა გადაფრინდა 75 საათის განმავლობაში ჩამოუფრენლად 12,411 კილომეტრი.

ეს კი მსოფლიო რეკორდია. ეს ოქტომბრის რევოლუციის წინსვლისა და გამარჯვების მაჩვენებელია.

□ □ □ □

# თუჯის ჩამომსხმელი გოგონა

## ნიკოლოზ ფხაკაძე

არის რაღაც ღრმა მის ლურჯ თვალებში
სულ უსაზღვროთ და, მიუწვდომელი,
გასაოცარი გმირულ ხალისით
დიდ საწარმოო ომის მდგომელი.
ღუმელებს შორის სად მდნობარ თუჯის
გავარვარებულ სითხის კაშკაში
აქრობს დაზგების ელვარ სილურჯეს
შეწამულ სხივთა ანარეკლ შარში.

მდნობარ ლითონით ანთებულ ფონზე
სჩანს მისი სახე აწითლებული,
სადაც ბრინჯაოს ბორბლების ღერძზე
ელავს ლეედები აწივლებული.
და იხაზება სასტიკი ნდობით
გამჭრიახობით დასერილ შუბლზე
ჩამოსასხმელი მანქანის ფორმის
ანაბეჭდები აზრების შუქზე.

ის შეუცვლელი გმირი ქალია
ჩამომსხმელ ცეხის წითელი დაფის,
მთელი დღეები ცეცხლის ალშია
აგურისფერი ტყავის წინსაფრით
შეჭრილ ოქროსფერ ხშირ დალალებით
დადის, თუჯს ადნობს და ტემპებს
უსწრებს,
მისი ცოცხალი ლურჯი თვალები
გავს კომკავშირულ ბილეთის ფურცლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამხ. ლიტვინოვი ერთა ლიგაში. ამხ. ლიტვინოვი ამბობს სიტყვას ანსანბლის ტრიბუნიდან.

○ ○ ○ ○

გ. მებუკე

# კოლა ლომთათიძის გამოუქვეყნებელი წერილიდან

გამოჩენილმა ბელეტრისტმა კოლა ლომთათიძემ თავისი სიცოცხლისა და მწერლობის უკეთესი დრო ციხეში გაატარა და იქვე აღმოხდა თავისი ტანჯული სული 1915 წ. 4 ნოემბერს.

კოლა, როგორც მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრი, სათათბიროს გარეკვის შემდეგ 1907 წ. დააპატიმრეს და ხალხის შეიარაღებულ აჯანყებისაკენ მოწოდებისათვის სოციალდემოკრატიულ ფრაქციის წევრ 55 დეპუტატთან ერთად მიუსაჯეს ხუთი წლის კატორღა, მაგრამ ვინაიდან კოლა ჭლექით იყო დაავადებული და მას არ შეეძლო საკატორღო მუშაობის ატანა· ეს სასჯელი შეუცვალეს 7 წლისა და 6 თვის ციხით.

კოლას თავის სასჯელს მარტო ერთ ციხეში არ ახდევინებდნენ და მან მოიარა რუსეთისა და საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი საპატიმროები (პეტერბურგი, მოსკოვი, ხარკოვი, სევასტოპოლი, ბათომი, ახალციხე. მეტეხი). სასჯელის მოხდის შემდეგ სასამართლოს განაჩენით ის მოათავსეს ჯერ ასტრახანის დავრდომილთა თავშესაფარში, და შემდეგ სარატოვში.

ციხეებში მას უხდებოდა მეტად მძიმე პირობებში ცხოვრება, რაც საუკეთესოდ სჩანს ერთ მის წერილიდან, რაც დღემდის მწერლის ბიოგრაფებისათვის სრულიად უცნობი იყო.

დაპატიმრებული კოლა ლომთათიძე სევასტოპოლის ციხიდან 1908 წ. უგზავნის სახელმწიფო სათათბიროს სოციალ დემოკრატიულ ფრაქციას შემდეგი შინაარსის წერილს.

...პირველად არ არის,, რომ ვზივარ საპატიმროში, პირველად არ არის რომ მესმის და ვხედავ, თუ რა ხდება ციხის კედლების იქით, მაგრამ ის, რაც დღეს აქ ხდება, იმდენად არაჩვეულებრივია, რომ მისი მარტო მოგონებაც კი თავისი საშინელებით მაქვავებს და ენას მართმევს.

ყველაფრის დაწვრილებით მოყოლა შეუძლებელიცაა და არც მე შემიძლია, ვინაიდან ძალზე ავად ვარ, თავბრუ მესხმის და დიდი ხნით წერას ვერ ვუძლებ. მაგრამ მინდა აგიწეროთ მხოლოდ ერთი რამ, მინდა მოგწეროთ თუ როგორი გარემოცულებაში და როგორი სახით ხდება სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობით. სიკვდილის სასჯელი კი ძალიან ხშირია. ჩემი აქ ყოფნის დროს 1907 წ. მაისის ბოლო რიცხვიდან) სიკვდილით დასაჯეს 70 კაცზე მეტი სხვდან და სიკვდილით დასჯის განაჩენის მოლოდინშია 15 კაცი, ხოლო ასეთი განაჩენის მომლოდინეა 90 კაცი. ეს მხოლოდ ამ სესიაში. თავრიდის გუბერნიის ყველა საომრო სასამართლოში მიცემულთა საქმე სევასტოპოლში ირჩევა, ამიტომ გუბერნიის ყოველ კუთხიდან ყველა სიკვდილით სასჯელ მი-

სჯილები (სმერტნიკი) აქ მოყავთ და აქ სჯიან მათ.

ჩამოხრჩობა ხდება საავათმყოფოს ეზოში, ჩემი ფანჯრიდან 7 ნაბიჯის დაცილებით. ეშაფოტის დადგმას იწყებენ ახალგაზრდა მსხლის ხის ძირში საღამოს 6 საათიდან და ამ ხნიდან თვით გათენებამდი მე მიხდება ფხიზლად ყოფნა (კეთილინებე და დაიძინე) და ყოველივე ამის განცდა. უშუალო მოწამე ვხდები ამ საშინელების, უძლიერესი გახელებით თავს ვახეთქებ კედლებს, ვიგინები ვყვირი, ვარახუნებ და მესმის დარაჯთა და ინგუშ პოლიციელთა ცინიკური მოძახილები, რომლებსაც მეთაურობს პოლისმეისტერი და რომლითაც სავსეა მთელი ეზო.

სიკვდილით სასჯელ მისჯილები განაჩენ შესრულების მოლოდინში სხედან რამდენიმე თვეობით და ყოველ ღამეს ელოდებიან რომ მათ გაიყვანენ. ამიტომ ისინი გათენებამდი არ წვებიან დასაძინებლად და მხოლოდ დილას არაქათ გამოლეულნი და დამტვრეულნი ეცემიან როგორც მკვდრები და სძინავთ მთელი დღე. დერეფანში პატარა ხმაური, დერეფნის მეთვალყურის ნაბიჯები და ზარების რეკა იმათ წამოყრის ლოგინებიდან და მთელ ესმის მათი არ ადამიანური ხმით ძახილი: გვიშველეთ უნდათ ჩამოგვახრჩონ, გვიშველეთ. იღვიძებს მთელი ციხე. იქმნება ხმაური, ყვირილი, კარებზე ხახუნი. სადღაც კამერაში გაისმის დაკრძალვის მარშის სიმღერა, სადღაც ყვირიან: მშვიდობით, მშვიდობით. ასეთი ალიაქოთის და სირბილის შემდეგ ციხეში ცხადდება საალყო წესები. დერეფნებში შემოყავთ ვინტოვკიანი ჯარისკაცები თოფებში ტყვიებს აწყობენ, გაისმის ბრძანება „როგორც კი ხმაური გაიგონოთ ესროლეთ". მაგრამ შემდეგ ირკვევა, რომ დღეს არავინ არ ჩამოუხრჩიათ. ეს ასე მხოლოდ მოეჩვენათ მათ. ძილი უკვე აღარ შეიძლება. ადმინისტრაცია კამერის კარებს აღებს და იწყებს წესრიგის დამყარებას, იწყება ცემა, ხმაურობის ჩახშობის მიზნით მათ უხვევენ პირს, იგინებიან სამსართულიანი საგინებელი სიტყვებით, ართმევენ ქვეშსაგებს, საპონს, შაქარს თუთუნს და სხვ., მაგრამ აი ნამდვილად ხდება სიკვდილით დასჯა. ეს ცხადია საღამოიდანვე, ხედავთ როგორ შემოაქვთ კუბოები, კუბოების რიცხვის მიხედვით ვარკვევთ თუ რამდენი კაცი უნდა ჩამოეხრჩონ დღეს. შემდეგ მიდის პოლიცია ინგუშები, ისინი დგებიან ციხის ეზოში და დერეფნებში, საიდანაც გესმის ხმა მიკმედილი ბრძოლა, ყვირილის სახით, სჩანს სასჯელ მისჯილისათვის ჯერ კიდევ ვერ აუკრავთ პირი ისე როგორც ეს საჭიროა. აღებენ სასჯელ მისჯილის კამერებს, რამოდენიმე კაცი მიესევა მას. ერთ მათგანს უკავია ბალიში პირის ასაკრავად, სასჯელ მისჯილიც მზადაა, ის უბრძოლველად არ ნებდება მათ, მაგრამ მას არაფერი არ გააჩნია და დიდხანს არ შეიძლება წინააღმდეგობის გაწევა. ყვირილი უკვე აღარ ისმის, მხოლოდ ღმუილი და ხრიალი.

გაისმის ჩაქუჩის ხმა, დამნაშავეს ბორკილებს ხდიან, მაგრამ ხელებს ისე მაგრად უკრავენ რომ სისხლი სდის, უკრავენ ფეხებსაც (სცემენ შეუჩერებლად (ხმაურობისაგან უზრუნველყოფილი ხარ, ხელით გამოყავთ კანტორის ბნელ ოთახში და აგდებენ იატაკზე, სადაც ის სწევს ჩანამდი, სანამ ეშაფოტს გააწყობენ. მოდის პროკურორი და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. ამ დროს აგებენ ეშაფოტს ეს უკვე ჩემი ოთახის წინ არის, ზედამხედველებს მიაქვთ ბოძები და ეშაფოტის სხვა ნაწილები. საავათმყოფოდან გამოაქვთ შკაფი, ... სასჯელ. მისჯილისათვის ფეხის შესადგომათ იყენებენ. (შკაფზე სდგამენ პატარა სკამს, მასზე გააჩერებენ დამნაშავეს, შემდეგ ფეხიდან გამოაცლიან სკამს და დასასჯელი დაიწყებს ქანაობას შკაფის თავზე

ეშაფოოტთან მოდის პროკურორი და კითხულობს განაჩენს. ციხე ამ დროს ხმაურობს, იმღერიან დაკრძალვის მარშს, მიმორბიან ჯარის კაცები. გაისმის ბრძანება. ყველაფერი ეს დამნაშავეში იწვევს სურვილს სიცოცხლისა, მას უნდა იცოცხლოს რათაც უნდა დაუჯდეს, ის მუხლებზე დაჩოქილი ტირის, ევედრება ცდილობს და მოიწევს ხელების დასაკოცნელად, პროკურორი, ექიმი, მღვდელი, მათ ზურგს აბრუნებენ, ციხის მოსამსახურეები გესლიანად ხარხარებენ დამიხედეთ სიკვდილი არ უნდათ, არ უნდათ, არ უნდათ". მოდის ჯალათი და მხარზე ხელს ადებს, ის თავს ჩაქინდრავს, დაიცემა, მისცვივდებიან ზედამხედველები წამოაყენებენ, ის ფხარკალობს, ფეხებს აქნევს, ღმუის, ღმუის.

ჰო, საშინელებავ, არასოდეს, არასოდეს მსგავსი რამე არ მინახავს მე არ ვიცი ვინ ყმუის ასე, ამ ყმუილში ადამიანური არაფერია, მაგრამ არც პირუტყვულია ის. მე მინახავს როგორ კლავენ ძროხას, ცხვარს, ღორს, ისინი ღმუიან მაგრამ ისე, ეს სულ სხვა რამეა....

მათ რამდენჯერმე კიდევ ცემით უმასპინძლდებიან, დიდი გაჭირვებით მიათრევენ, რამოდენიმე მიათრევს და უკვე ბაწარზე რაღაცა კიდია, რაღაც ქანაობს. სხვა მისჯილები ხედავენ ყოველივე ამას. ყველაფერი ესმეორდება მათზედაც.

მისჯილისადმი ასეთი მოპყრობა იმდენათ ჩვეულებრივი გახდა, რომ ერთმა ანარქისტ - [illegible] ნმე სინკოვმა, რომელსაც მისჯილი ქონდა სიკვდილით სასჯელი, მიზართა სასამართლოს [illegible] და ყველა იმათ [illegible] თხოვნით, რომ მას, სინკოვს, ჩამოხრჩობის წინ არ სცემონ და თავის მხრივ პირობას იძლევა, რომ ჩამოხრჩობის ადგილას მივიდეს წყნარათ, არავის არ გამოემშვიდობოს და არც არავის წინააღმდეგობა არ გაუწიოს. თავმჯდომარე შეპირდა თხოვნის დაკმაყოფილებას და შეპირება როგორც სჩანს შესრულებულ იქნა კიდეც.

იყო ასეთი შემთხვევაც, სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ვისმეს საზანოვს, რომელთანაც კიდევ იჯდა ოთხი სიკვდილ მისჯილი. ერთ ღამეს მიდიან მათთან აღებენ კამერის კარებს და მიყავთ სამი, რომელიც უნდა ჩამოახრჩონ. მაგრამ შეეშალათ სახელები და იმ ერთის მაგივრად, რომელიც უნდა წაეყვანათ, ეცნენ საზანოვს. ის შეეცადა განეცხადებია რომ ის, ის არ არის, მაგრამ ამ დროს აუკრეს პირი წამოაქციეს მიწაზე, გაუკრეს ხელები უკან, რამოდენიმე კაცი ზედ შეასხდა და სანამ ფეხებიდან ბორკილებს შეხსნიდენ, სცემდენ. წაიღეს კანტორაში, დააგდეს ბნელ ოთახში მიწაზე და გააჩერეს ღამის პირველ საათამდე. ღამისპირველ საათზე მიათრიეს ეშაფოტთან და მხოლოდ აქ მიეცა მას შესაძლებლობა განეცხადებია, რომ ის სულ სხვა არის. აღმოჩნდა „შეცდომა", დააბრუნეს უკან, მოიყვანეს ნამდვილი დამნაშავე და ჩამოახრჩვეს. საზანოვს შემდეგ სიკვდილით სასჯელი შეუცვალეს სამუდამო კატორღათ. ის გათეთრებულიყო ძალიან დიდხანს.

ვინმე ფოხტი, სიკვდილით სასჯილი, ავათ იყო ტიფით, სიცხე ქონდა 40 გრადუსი, [illegible] ქვედა საცვლებ ამარა და უგრძნობელ მდგომარეობაში ჩამოახრჩვეს და ყველაფერი ეს ხდება ჩემი ფანჯრების წინ. მე ვცდილობდი მივჩვეოდი ადრე საღამოს ექვს საათზე დაწოლას და დაძინებას, მაგრამ როგორც სჩანს მიზანს ვერ მივაღწიე-რადგან როგორც კი დაიწყებენ ეშაფეტის დადგმას, ზედამხედველი პ(ოსტავოი) დამირაკუნებს კარებს და მაფრთხილებს ფანჯარასთან არ მიხვიდე თორემ გესვრიან და სასამართლოს გარეშე გაგზავნიან იმ ქვეყანაშიო".

ეს წერილი ჩვენ მოგვყავს ს. უშეროვიჩის შრომიდან: სიკვდილით დასჯა მეფის რუსეთში.

როგორც მკითხველი დაინახავდა წერილი არ უნდა იყოს სრულიად მოყვანილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



გ. კაჭახიძე

# ქუჩის ჭანდრები

ეს გაშლილი მწვანე ქუჩა
კეთილშობილ განცდებს გვაძლევს;
თვალიც ხარბად ეწაფება
შენობების გასწვრივ ნაძვებს.
იერიში მიაქვთ ცისკენ
ახალგაზრდა ლამაზ ჭანდრებს.
ამ ჭაბუკებს ღამით სძინავთ,
იღვიძებენ დილით ადრე.
მაშინ ყველა, სათვითაოდ,
მკლავგაშლილი ხვდება მნათობს,
იჭერს შუქს და თანვე ცდილობს
მზის პატრონი იყოს მარტო.
კენწეროებს დაარხევენ,
დაიწყებენ ერთად შრიალს,
იმღერებენ და ტოტებზე
სათვითაოდ კვირტს გაშლიან.
დაჩრდილავენ ქუჩის ხავერდს,
ბალახებით მჭიდროდ ნაქსოვს...
კარგებია ეს ჭანდრები,
მე ბავშვობა მათი მახსოვს:
სხეულს ძლივსღა იმაგრებდენ,
გიჟი ქარი როცა ქროდა.
პატარები იყვნენ ძლიერ
და ფოთლებიც ცოტა ჰქონდათ.
დიდი უბნის დიდ ხმაურში
ძლივს ვამჩნევდით, იდგენ ყუჩად...
როგორ მალე გაიზარდნენ,
დაგვიმშვენეს ფართო ქუჩა!
ალაგ უცხო ბუჩქებია,
ზაფხულის თუ ზამთრის გამძლე,
ამ გარემოს ამ ქალაქში
ხეივანის ფერი აძევს.
მოდით, დატკბით, აქ ყოველთვის
საამოა ფიქრი, გავლა,
ტოტებიდან ბეღურების
გადაფრენა, გადამალვა!
ვუთხრათ რამე კაცის შრომას,
ერთმანეთს... და თუნდაც ჭანდრებს,
დღეს რომლებიც მზის ამოსვლის
მოლოდინით დაიტანჯენ.
გავაყოლოთ თვალი ასფალტს
ბეტონივით მკვრივს და გამძლეს...
ეს გაშლილი მწვანე ქუჩა
კეთილშობილ განცდებს გვაძლევს!

ο ο ο ο ο

# კულტურული მემკვიდრეობა და კლასიკოსების შესწავლის პრობლემა

ქ. ქაკანელი

კარლ მარქსი თავის წერილებში პ. ანენკოვისადმი იძლევა გარკვეულ მითიებას, თუ როგორ უნდა გამოყენება ისტორიულ წარსულში შექმნილ ღირებულებებს: თითოეული საფეხური ისტორიული განვითარების, მისი საწარმო ძალების და კულტურული მდგომარეობის შედეგია მთელი ისტორიული ვითარების; ისტორია არსებობს მხოლოდ როგორც ჯაჭვი სოციალური ფორმაციების, რომლის თითოეული რგოლი აუცილებელია მთლიანობის არსებობისა და ვითარებისათვის.

ამიტომ იყო ამხ. ლენინი, რომ იგრე გულმოდგინეთ და მკვეთრად ურჩევდა კომუნისტურ ახალგაზრდობას წარსულის შესწავლას, ისტორიული მემკვიდრეობის დაპატრონებას, ისტორიულ ღირებულებათა და სიმდიდრეთა გაგებას; სოციალისტური კულტურა შესაძლებელი გახდა როგრც შედეგი მთელი ისტორიული განვითარების და ის, ვინც ამ კულტურის არეშია მოქცეული, უნდა იყოს მცოდნე იმის, თუ როგრ მოვიდა კაცობრიობა თანდათანობით, ბრძოლით, წვალებით, წინააღმდეგობობათა ვითარებებით ისტორიის დღევანდელ ეტაპამდე.

საქ. კ.პ. (ბ) ც.კ. დადგენილება შოთა რუსთაველის შესახებ ორგანიულად გამომდინარეობს მარქსისტულ-ლენინურ სოფლგაგებიდან, მის პრინციპებიდან: ეს დადგენილება არ არის შემთხვევითი მოვლენა და თავისი ისტორიული გამოსახულებით მაჩვენბელია იმის. რომ კომუნისტური პარტია ყველაფერს აკეთებს თავის დროზე; სოციალისტური კულტურა გაშლილი ინდუსტრიით, კოლექტიური მეურნეობის მძლე ფორმებით, თავდაცვის უძლიერესი იარაღებით, იძლევა სრულ საშუალებას მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებისათვის.

კულტურულ მემკვიდრეობაში, რომელიც მიიღო გამარჯვებულმა პროლეტარიატმა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, მხატვრული ლიტერატურის კლასიკოსებს საპატიო ადგილი უკავიათ. ბურჟუაზიული გემოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო ესთეტიკოსი ამბობს: „კლასიკოსი ისეთი მწერალია, რომლის სახელს ყველა ახსენებს და რომლის ნაწარმოებს კაცი არ კითხულობსო“.

ეს ერთგვარი ირონიით ნათქვამი სიტყვები ბურჟუაზიულ სინამდვილეში გამოსახავს სრულ ჭეშმარიტებას: ბურჟუაზია იქამდე მივიდა, რომ ომსა და დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს აზროვნებისა და მეტყველების, მრავალ წარმოადგენლებს; ბურჟუაზია დღეს ფაქტიურად ებრძვის მეცნიერებასა და ხელვონებას, უარყოფს მათ ღირებულებებს, ცდილობს თავი შეაფაროს ეკლესიას, ნატურალურ მეურნეობას, პრიმიტივობას.

სულ სხვა მდგომარეობაა საბჭოთა რესპუბლიკებში: აქ ჩვენ ვხედავთ უდიდეს პატივისცემასა და დაფასებას მეცნიერებისა და ხელოვნებისას; „ვეფხვის ტყაოსანი“, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში იდევნებოდა სამღვდელოების მიერ, რომელსაც კითხულობდა თავის გასართობად ფეოდალური არისტოკრატია, დღეს ისწავლება არა მარტო უმაღლეს სა-

სწავლებლებში, არამედ მუშათა ფაკულტეტებსა და პროფ-კურსებზე. პროლეტარიატი იჩენს უდიდეს სიყვარულს ხელოვნებისა და ლიტერატურისადმი; პროლეტარიატი აფასებს აზროვნებისა და მეტყველების ოსტატებს; მათ საფლავებს ამშვენებს ძეგლებით და ბაღებით, მათ ნაწერებს სწავლობს გულმოდგინეთ, ინტერესით, სიყვარულით, გატაცებით.

შორეული წარსულის მეცნიერული შესწავლა, ფირდოუსის, რუსთაველის, ჰეგელის, გოეტეს იუბილეები, აზროვნებისა და მეტყველების დიადი მიღწევების გამოვლენა, ცხადყოფა და განხარისხება სოციალისტური კულტურის თვალთახედვით, ტიტანიური ბრძოლა ყველაფრის წინააღმდეგ, რაც ადამიანს ჩაგრავს და შემოქმედების საშუალებას არ აძლევს—აი რა ახასიათებს საბჭოთა კულტურის მიმდინარე ეტაპს და რაც წარმოადგენს დიდი **სტალინის** ბრძნული პოლიტიკის ნაყოფს, რეალურ შედეგს.

ლიტერატურის კლასიკოსებისადმი ყურადღება რეალური განაღდებაა ლენინის ანდერძის—სოციალისტური მოდგმები დაიუფლონ, დაეპატრონონ იმ სიმდიდრეს, რომელიც შეუქმნია კაცობრიობას და რომელიც წარმოადგენს უმშვენიერეს ფორმებს ადამიანურ ხერხებისა და შემოქმედებისას.

თავისი სიყვარულით და ყურადღებით კლასიკოსებისადმი კომუნისტური პარტია ავალებს მეცნიერებასა და ხელოვნების მოღვაწეებს თავიანთ მუშაობაში იხელმძღვანელონ მარქს-ლენინ-სტალინის მითითებებით: მარქსისტული სოფლხედვა ქვეყნის

□ □ □



**პოლიტმატარებელი რეიდზე.**

**სურათზე:** სოფელ ანაგის კოლმეურნეები ყიდულობენ პოლიტმატარებლის სავაჭროში საქონელს.



**სოჩა.** ზღვის პირზე მდებარე ბულვარი სასტუმრო რივერას წინ.

□ □ □

ილებს—როგორც პროცესს, როგორც ვითარებას, რომელიც მუდამ წარმოადგენს გარკვეულ ფორმას ერთმანეთის მოწინააღმდეგე ძალებისას; ლიტერატურაში გაშლილია სწორედ ამ მოწინააღმდეგე ძალების ბრძოლა ერთმანეთთან და ამიტომ ყოველი ძლიერი ლიტერატურული ნაწარმოები წარმოადგენს ერთგვარ ფორმას სოციალური ფსიქოლოგიისას. იშვიათი სიმკვეთრით უწოდა ამხ. **სტალინმა** მწერლობას სულის ინჟინერობა: გაივლიან წლები, საუკუნეები და მეცნიერებას შერჩება ეს მშვენიერი თქმა, რომელიც სიფრთხილეს ავალებს ყველას, ვინც უახლოვდება ლიტერატურას.

კლასიკოსის შესწავლის პრობლემა არის პრობლემა შემოქმედების ფსიქოლოგიის და სოციოლოგიის: ვინც საფუძვლიანად ვერ ერკვევა მარქსისტულ სოციოლოგიასა და შემოქმედების ფსიქოლოგიაში, ის კლასიკოსებს ვერ შეისწავლის და კლასიკურ ნაწარმოებს ვერ გაიგებს. მარქსისტული შეწავლა ლიტერატურული ნაწარმოების უსათუოდ გულისხმობს ფსიქოლგიურ-სოციოლოგიურ კლასობრივ მომენტების ამოკითხვას, გაგებას, გამორკვევას: ყოველ კლასიკურ ნაწარმოებში მოცემულია ადამიანური განცდები ყოველდღიური არსებობისა და ნივთებთან ურთიერთობისა; სიყვარული, სიძულვილი, გატაცება, მწუხარება, სევდა, იმედი, უიმედობა—ერთი სიტყვით მთელი შინაარსი სულიერი განწყობილების, რომელიც გვევლინება კლასიკურ ლიტერატურაში, გასაგები ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაყვანილ იქნება მეცნიერული კვლევა-ძიებით სოციალური ფორმაციის კონკრეტულ სიტუაციამდე. კლასიკოსების შესწავლაში ჩვენთვის უაღრესად ძვირფასია შევიტყოთ რა პირობებში, რომელი სოციალური ფორმაციის დროს როგორ იყო მომართული ადამიანი თავისი აზროვნებით და მეტყველებით, თავის სახეებით და ემოციებით. ადამიანი ისტორიის პროდუქტია და კლასიკური ლიტერატურის. დიდი ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ მასში ნათლად გამოსახულია ყოველთვის, თუ როგორი შემოდის ისტორია თავისი სიტუაციებით, კლასთა ბრძოლით ცალკეული სოციალური ფორმაციებით ადამიანში და როგორ გადის ადამიანიდან; ადამიანი გრამაფონის ფირფიტა არ არის: მისი სულიერი ცხოვრება წარმოადგენს ნამდვილ ქარიშხალს და ეს ქარიშხალია, რომ იხედება ეგრე გამჭვირვალედ კლასიკოსების შემოქმედებაში, გაშალეთ „ვეფხის ტყაოსანი“, გურამიშვილის ისტორიული ლექსები, ბარათაშვილის ფილოსოფიურ ლირიკა, ჭავჭავაძის, ყაზბეგის და ვაჟა-ფშაველას მოთხრობები: თქვენ იგრძნობთ ქვეყნად სიამაყეს ადამიანური არსებობისას და თავისებურ სურვილს გაბრძოლებისას იმ სახეებისა და ემოციების მიმართებით, რომლებიც წარმოისახებიან თქვენში: წარმოისახება არეში აეწყობიან ადამიანები მათი გარემოცვანი, ბრძოლები და ინტერესები, საქმეები და ცხორების პირობები, სოციალური და კოსმიური მოვლენები; იწყება აქტივიზაცია თქვენი მეობის და ავტორთან ერთად მიილტვით გარკვეულ მიზნისაკენ — შედიხართ ისტორიისა და სამყაროს სიღრმეებში მთელი თქვენი არსებით.

კლასიკური ლიტერატურა ესთეტიური აღზრდის უდიდესი იარაღია.

ვ. მაჟავარიანი

# გმირული სისადავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი საბჭოთა კავშირი აღფრთოვანებით და აღტაცებით უმზერს და უსმენს სასწაულთმოქმედი ეკრანის რუხ სივრცეს და ხმებს.

მაყურებელთა მილიონები სულგანაბული მიყვებიან მათ თვალწინ გადაშლილ ამბების გმირობას და ლირიკას. მამაცთა სიგიჟეს უმღერიან და მოწიწებით იხრებიან მათ წინაშე. გული ითვება ბოლშევიკური გმირობის პათოსით, რევოლუციური თავდადებით და შეუძლებელის შესრულების სურვილით, თვალები ბრწყინავს, მოხუცს და ახალგაზრდას ერთნაირად უძგიძგება სულისთქმა. პატივცემული აკადემიკოსები, რომელთაც ისე გაატარეს კინოს თითქმის ნახევარი საუკუნის დადუმებული არსებობის ხანა, რომ ერთხელაც არ გადაუბიჯებიათ დიადი მუნჯის ზღურბლზე, ფეხი შეადგეს მასში მხოლოდ ახლა, როდესაც იგი აქმინდა, აგრუხუნდა და ყველაფერი აავსო მწყობრი მეტყველების მელოდიით და მუსიკის ურთულეს ხმოვანებით.

ისინი, ვინც არაფერს სცნობდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის გარდა, და ისინიც შეიერხოლდის გარდა, რომ არაფერი სწამდათ, ახლა პირველად შეთანხმდენ კინო დარბაზში.

სავსებით მოწინააღმდეგე თეატრალური შემოქმედებითი მიმართულებების მეთაურები — ეიზენშტეინი და კულეშოვი, პეტროვი, გარდინი, ტრაუბერგი და კოზინცევი, ლიუბიმოვ - დანსკოი და სტანისლავსკი, ნემიროვიჩ - დანჩენკო და თაიროვი შეთანხმდენ მასში, რომ ნაწარმოები, რომელიც მათ ნახეს და მოისმინეს, უსათუოდ არის განსაკუთრებული და ერთადერთი.

ყველა აღტაცებულია ძმ. ვასილიევების, ბაბოჩკინის, მიასნიკოვას, და ყველა სხვების ნამუშევარით, ვინც კი მონაწილეობა მიიღო ამიერიდან უკვდავ ფილმ „ჩაპაევის“ შექმნაში.

რაშია „ჩაპაევის“ წარმატების მიზეზი? სად უნდა ვეძიოთ ისეთი წარმატების მიზეზი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არ რგებია ადამიანის ნააზრევის და განცდილის არც ერთ გამოვლინებას ხელოვნებაში. მთელმა საბჭოთა ქვეყანამ მიიღო ჩაპაევი. რა არის ამის მიზეზი?

როგორც ამას ადგილი აქვს ხუროთმოძღვრების თუ ძერწვის, მუსიკის, ფერწერის თუ მწერლობის დიად ქმნილებათა შექმნის შემთხვევებში, „ჩაპაევიც“ იმ თავითვე გადაეზარდა ესთეტიური ღირებულებას და რაღაც ახალი სოციალ - პოლიტიკურ ხარისხის სიმაღლეზე ავიდა.

ახლა ყველასთვის ცხადია, რომ „ჩაპაევის“ ძალას არ შეადგენს მარტო მისი ესთეტიური ფუნქცია. „ჩაპაევი“ პოლიტიკურ მოვლენად იქცა, იგი „მუშაობს“ ისევე, როგორც მკვეთრი პოლიტიკური სიტყვა, ან სერიოზული მეცნიერული ნამუშევარი. „ჩაპაევის“ ძალა უდრის ქვეყნისადმი მიმართულ პოლიტიკურ მოწოდების ძალას, რომელიც არწმუნებს არა მარტო ლოგიკური არგუმენტაციით, არამედ ესთეტიური აღგზნების პათოსითაც.

შეგიძლიათ უჩვენოთ „ჩაპაევი“ საომრად გამზადებულ მეომართ, და დარწმუნებული იყოთ მათი გაათკეცებული შეტევის ძალაში.

შეგიძლიათ უჩვენოთ „ჩაპაევი“ დამკვრელ მუშებს, რომელნიც თვის ან წლის ბოლო დღეებში პროდუქციის უკანასკნელი ტონების მოცემით იბრძვიან გეგმის შესრულებისათვის, და დარწმუნებული იყოთ, რომ გარღვევას ადგილი აღარ ექნება და დავალება შესრულდება.

შეგიძლიათ უჩვენოთ „ჩაპაევი“ ადამიანებს, რომელნიც იერიშით მიდიან უღელტეხილის უკანასკნელი სიმაღლეების ასაღებად და ეჭვი აღარ გქონდეთ, რომ უღელტეხილი გადალახული იქნება.

მაშ რაშია „ჩაპაევის“ ძალა“

„ჩაპაევი“ უაღრესად სოციალური და პოლიტიკური მოვლენაა; და არც შეიძლება, რომ ხელოვნების ნამდვილი მოვლენა სხვაგვარი იყოს. ესაა ფილმი უდიდესი პათოსის და გმირული დაძაბულობის და ამიტომაა იგი მთელი ჩვენი გმირული სინამდვილის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი. სამოქალაქო ომის, პერეკოპის და კასტორნაიას გმირობა, ეს ხომ იგივე ხუთწლედის გმირობაა — აშენებლობის პათოსის და ათვისების პათოსის ხუთწლედებისა.

ვასილ ივანიჩ ჩაპაევის სახე ეს ხომ შემთხვევითი სახე არაა, ეს ხომ ჩვენი უშიშარი და შეუპოვარი ქვეყნის, მისი ადამიანების განზოგადებული და კრებადი სახეა. ჩვენ პროლეტარულ რევოლუციას 1917 წლის 25 ოქტომბრიდან დღევანდელ დღემდე მოქმედების ერთი მთლიანი ხაზი აქვს. კაცობრიობის წინა ისტორიის სიმაგრეების უშიშარი შეტევის ხაზი. საყოველთაო თავისუფლების დამყარების და ნამდვილ ადამიანურ, გააზრებულ არსებობისათ-



„26“ კომუნარების ქარხანაში. 26 კომუნარების სახელობის ქარხანაში მუშაობა დაიწყო წითელ არმიაში ახალ წვეულთა შემმოწმებელ კომისიამ. სურათზე: ინსტრუმენტალური საამქროს წვეული ამხ. კანტერი გადასცემს სამხედრო კომისარიატისათვის საჩუქარს ამხ. შონიას.

ვის ბრძოლის ხაზი. ასეთი ცხოვრების მიღწევა კი საშინელი ბრძოლების ფასს მოითხოვს. ასეთი ამოცანის გადაჭრა მხოლოდ გმირული ჯიშის ადამიანებს შეუძლიათ. მტერს ეშინია ჩვენი. თითქმის უიარაღო მარტოდ მყოფ ჩაპაევის წინააღმდეგ მან მთელი ჯარი, ტყვიამფრქვევები და ჯავშანი გამოიყვანა. მან ვერ გაბედა პირდაპირ სახეში შეეხედა კიროვისათვის. ლაჩარმა ქვეწარმავალმა ზურგს უკან, მიპარვით ესროლა ტყვია მას. მტერს ეშინოდა არა შეიარაღებულ კიროვის (ყველამ იცოდა, რომ იგი იარაღს არ ატარებდა) მტერმა იმიტომ ესროლა რევოლუციას უკნიდან, რომ მისთვის თვალის გასწორებისთვის მას არ ყოფნიდა არც ძალა და არც გამბედაობა.

სწორად გაიგეს რა ჩვენი დიადი ეპოქის ეს ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისება, აიყვანეს იგი განზოგადებულ სახეთა სიმაღლეზე და გამსჭვალეს რა იმით მთელი ფილმი, ძმ. ვასილიევებმა დაუმიზნეს და მოახვედრეს მთელი ჩვენი ქვეყნის გრძნობების ძირითად სალეიტმოტივო წერტილს. ყველაფრის დამთრგუნველ გმირობის შინაარსითაა გამსჭვალული მთელი სურათი. ამიტომაა, რომ იგი ასე მიუდგა ჩვენი ქვეყნის სულს და გულს. იმ ქვეყანას, სადაც წარმოიშვა გმირების ორდენი, არც შეეძლო ასეთი სურათის სხვანაირი განცდა. არსებითად რომ ვთქვათ, ფილმმა გამოხატა სამოქალაქო ომის და ახალი ცხოვრების მშენებლობის ფრონტების გმირობა, ე. ი. ჩვენი ყოველდღიური ყოფაცხოვრება. ჩაპაევს უსაზღვროდ ხალისიანი ვაჟკაცობა დაუკანდაუხეველი სარდლობა ახასიათებს, და

ეროვნული ბიბლიოთეკა



მეტროს შიგნითი ნაწილი — არქიტექტორ ბიკოვის პროექტით.

ეს, ხომ ჩვენი ქვეყნის და მისი ადამიანების თვისებაა. ჩაპაევი ეს— ერთერთი საუკეთესო სახეა. და განა ნაკლებად შესანიშნავია იმავე ავიაბირთვის ეპოპეა, ჰასაკით თითქმის ჩვენი ქვეყნის ტოლის კამანინის ამბავი?

ჩაპაევს სახელი გაუთქვა სამოქალაქო ომმა და სიტყვის დიდი ოსტატის ფურმანოვის დიდათ ნიჭიერმა კალამმა. მაგრამ განა ნაკლებია ფედოსეენკოს, ვსენკოს და უსისკინის გმირობა, რომლებმაც უპატაკეს ბელადს რევოლუციის სიყვარული და თავდადება 22-ათასიან სიმაღლიდან?

სამოქალაქო ომმა ათასობით გმირები წარმოშვა, მაგრამ იმავე გმირობამ არ შთააგონა ავადმყოფი შმიდტი, როდესაც მან არ მიატოვა თავისი ყინულოვან ტყვეობა და მტკიცედ იდგა სადარაჯოზე? არა, ჩვენ პროლეტარულ გმირობაში არის რაღაც განსაკუთრებული რაღაც თვისობრივად სხვაგვარი რამ, რაც ანსხვავებს მას სხვა კლასთა წარმომადგენლების სიმამაცისა და ვაჟკაცობისაგან. ვის შეუძლია, მაგ., წაართვას ეს თვისებები ბურჟუაზიის განთქმულ მეომარ ნაპოლეონს? მაშ რაშია საქმე? ან იქნება „ჩაპაევში" განდიდებულია გმირობა საერთოდ? რასაკვირველია, არა. ჩვენს ქვეყანაში ყოველ გმირულ საქმეს უსათუოდ მოეპოვება ყოფაქცევის სტრატეგიული გეზის გააზრება.

ჩვენში არ არსებობს გმირობა გმირობისათვის, გააზრების გარეშე ჩვენში არ არსებობს თვით გმირული საქციელიც კი. ჩვენი გმირობა, მით განსხვავდება ყველა დროის და ხალხების გმირობისაგან, რომ იგი ემყარება ორგანიზებულობას. ჩვენ შორსა ვართ მამაცთა განყენებულ სიგიჟისაგან. მოლოკოვს და კამანინს თავისი თვითმფრინავებით რა თქმა უნდა, შეეძლოთ ისე დადგომოდენ უცნობ და გამოუკვლეველ გზას, რომ არ წაეღოთ მარაგი, არ შეემოწმებიათ მოტორი არ მოეწყოთ მეტეოროლოგიური მომსახურება და სხვ. ამ შემთხვევაში მათ აუცილებელი დაღუპვა მოელოდათ.

„ჩაპაევი" გვიჩვენებს სწორედ გმირობის ორგანიზებულებას, რომელიც ახასიათებს ბოლშევიკებს. და გვიჩვენებს არა მარტო მაშინ, როდესაც ვასილი ივანოვიჩი ანვითარებს ბრძოლის ბრწყინვალე სტრატეგობას. მთელი ფილმი წარმოადგენს ფურმანოვის, როგორც პარტიის წარმომადგენლის, მიერ ჯერ პარტიზანულ რაზმის და შემდეგ ჩაპაევის მთელი დივიზიის ორგანი-



ზებულ მოქმედების მთლიან ჯაჭვს.

და თვით ჩვენი ცხოვრების მრავალსახიანი პრაქტიკა ხომ ორგანიზებულობის სიმბოლოა. ან რა ვიქნებოდით, რომ ერთი წუთითაც დაგვეკარგა ძალა ჩვენი ორგანიზებულობისა. აი ეს მოტივია, რომ მთელი სურათის მანძილზე გაისმის, და ეს გასაგებია თითოეული ჩვენგანისათვის.

„ჩაპაევი“ აზოგადებს ჩვენი ცხოვრების და ჩვენი სინამდვილის ამ ძირითად ხაზებს. ადამიანებს, რომლებმაც გააკეთეს ფილმი, არა თუ ესმით ჩვენი ცხოვრების მიზანი, ისინი სულდგმულობენ ამ მიზნით, მათ არ მოეპოებათ სხვა მიზანი და, არც შეიძლება ჰქონდეთ სხვა მსოფლგაგება და მსოფლშეგრძნება; და აქედან გამომდინარეობს ფილმის ღირსება და ხარისხი.

როგორ, რა გზით იქნა გამონახული ჩვენი რევოლუციის ძირითად და ყველაზე უფრო დამახასიათებელ თვისებების კინემატოგრაფიულ სახეებში გადასატანად საჭირო განზოგადოების კრიტერიუმი?

შედიხართ დარბაზში და უყურებთ ფილმს. პირველი კადრი: ისმის სარაწკუნე ზარების ხმა. ჩაპაევი მოდის „ტროიკით“. იტყვიან, რა ბანალური სახეა, გოგოლის შემდეგ, მას მერე, რაც მან ჩიჩიკოვი ტარანტაში ჩასვა, რუსეთის სტეპი და მასზე ჩქარი სვლა განუყრელია ასეთ სურათებთან. პირველ კადრს მისდევს მეორე და ა. შ., ყველაფერი ჩვეულებრივი და, შეიძლება ზოგმა ისიც სთქვას, ძალზედ ჩვეულებრივი. არც ერთი „საინტერესო“ კადრი. მონტაჟი ხომ პირდაპირ გრიფიცის „თეთრი ზამბახი“ დროისაა. ფილმის სტრუქტურაში პირწავარდნილი ამერიკანიზმიაო — იტყვიან. კადრის კომპოზიცია, განათება და ყველაფერი, რაც ქმნის კინომატოგრაფიული სახეების მთლიანობას — ჩვეულებრივი და სადაა. და სწორედ ეს სიტყვა „სადა“, „უბრალო“ აკერია პირზე ყველას, ვინც კი ცდილობს სურათის გაგებას და გააზრებას. ავიღოთ ფილმის მეორე ძირითადი კომპონენტი — მსახიობის მუშაობა. თუნდაც იგივე ბაბოჩკინი. არც ერთი ხელოვნური ჟესტი, არც ერთი გაუმართლებელი მოძრაობა და ეს მაშინ, როდესაც გარეგნობით მსახიობი ფოტოგრაფიულად უნდა ჰგავდეს რამოდენიმედ უხეშ, უხერხულ და უშუალო მიმოხვრის მქონე ადამიანს. აქ ფეხის დასხლტომა, ოდნავი სიყალბე ჟესტის გაგებაში — მის უადგილო შერბილების სახით ან პირიქით — არის დამღუპველი მსახიობისათვის და მაშასადამე მთელი ფილმისათვის. და მერე რამდენია ასეთი სახიობისათვის საშინელი ადგილი, სადაც იგი უშუალოდ ვულგარიზაციის უფსკრულის პირზე დადის. რამდენჯერ განსახიერებულა, მაგ., თეთრი ოფიცრობა — გენერლის, პოლკოვნიკის თუ პორუჩიკის ჩინით. მაგრამ აიღეთ პევცოვი, მისი თეთრი პოლკოვნიკი არაა ჩვეულებრივი, გაცვეთილი, ბრიყვი მტერი. არა. იგი მეტად ჭკვიანი, წინდახედულია. იგია პირდაპირ ბრწყინვალე „ფსიქოლოგიური შეტევის“ ორგანიზატორი, რომლის დროს არ შეგიძლიათ თავისი არ უზლოთ მტრის სიმამაცეს და მასთან ერთად უფრო გააზრებულად და ღრმად არ აითვისოთ ივანოვო-ვოზნესენსკის ფეიქარ - ტყვიამფრქვეველ ქალის მარუსიას უსაზღვრო გმირობა. პევცოვი თამაშობს ჭკვიან და მოხერხებულ მტრის როლს. ბეთჰოვენის „მთვარის სონატის“ ხმებზე იგი ერთის ხელის აქნევით, სხვათა შორის, წამებაში აგდებს მოწინაალმდეგის ბანაკში გადაკლისათვის შეპყრობილ ყაზახს. ამ დროს იატაკის წმენდით გართულ ყაზახის ძმის („დენშჩიკის“) პლასტიურ მოძრაობაში მოცემულია არა მარტო კადრის განწყობილება, არამედ მთელი უაზრობა და, ვანწირვა მშრომელი გლეხობის და ყაზახობის იმ ნაწილისა, რომელიც მიყვება თეთრებს; და რა სადათაა გადმოცემული ყველაფერი ეს, სადათ, მაგრამ მეტისმეტ რთულად. საზღვრითი სისადავე მიღწეულია შემოქმედების უდიდესი სერთულით, ამის მიღწევისათვის „ჩაპაევში“ მოცემულ სახეების ... სათვის საჭირო იყო 15—16 წლის კინემატოგრაფიის განვითარების გზა, საჭირო იყო ეიზენშტეინის, პუდოვკინის, დოვჟენკოს ბატალური და მასიური სცენები, საჭირო იყო მეტად ნიჭიერი ხაზის მოსმა, რომელიც აქვს ნიკოლოზ შენგელაიას „ელისო“-ში, როდესაც უდიდესი რისხვა გადადის ოპტიმისტურად განწყობილ და ყველაფრის გამომსყიდველ თამაშში, საჭირო იყო, დასასრულ, რთული კინემატოგრაფიული კულტურა,

„ჩაპაევი“ უდიდესი დამტკიცებაა იმ ახალი ხარისხის, რომელსაც ითვისებს მთელი საბჭოთა ხელოვნება სოციალიზმის მატერიალურ და სულიერ კულტურის უდიდესი გაფურჩქვნის პერიოდში.

ჩაპაევი“ გამარჯვებულ სოციალიზმის ახალი დიადი ხელოვნების სასიხარულო მერცხალია, სალამი განთავისუფლებულ კაცობრიობის, ხელოვნების მშვენიერი გაზაფხულის ამ მახარობელს.




„ჩაპაევის“ რეკლამა ქუჩაში.

კლ. მოშიაკა



# მეთევზეთა განთიადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამიანს სიხარულით ათამაშებს. გვაჩი საერთოდ კაცთან დიდიხნით ლაპარაკს არ იყო შეჩვეული და ვერც ბედავდა. მაგრამ მოსე რომ ნახა, გაუხარდა და დაუწყო თამამად, გაბედულად საუბარი.

ისინი ოთახში უსხდენ თეთრ ტილო გადაფარებულ მაგიდას, რომელსაც მოსე იდაყვით დაყრდნობოდა. გვაჩი კი ახლოს არ ეკარებოდა, ეშინოდა, არ დაესვარა.

— დედმამის სიკვდილის შემდეგ გოლუაფურო მოსე, ფაცხა რა არის! იქაც არ ვათენებდი ღამეს. ტყეში მიღამდებოდა და ტყეშივე მითენდებოდა. შენ კარგად იცი ბიჭო ეს. მხოლოდ შენ მიმიხვდები გულის ტკივილს. როგორ არ გემახსოვრება მეჯოგე გითოლენდია. ჰო და ის რჯულძაღლი იმდენს მამუშავებდა, რომ ხუთი წლის განმავლობაში ზურგზე ხუთკეცი ტყავი გადამაძრო. შემდეგ, სხვა დრო მოვიდა, დრომ თავისი მოიტანა. ერთ მშვენიერ დღეს მას ჯოგი ჩამოართვეს. მე არ ვიცოდი რაში იყო საქმე. გამიკვირდა. ვკითხე, სად მიერეკებიან საქონელს მეთქი! იგი ბრაზმორეული იყო და მრისხანეთ მიპასუხა:

— შენისთანა უნითვხოები, რომ წამოგვაჯდენ თავზე, იმიტომ ხდება ეს ყველაფერიო. — მე ამ სიტყვებმა სიამაყე ჰაგრძნობინა, მაგრამ მაინც შემეშინდა იმ წყეულის. ისე აბრიალებდა შხამიან თვალებს, რომ გველსაც გააჩერებდა. ბაჭულა ხომ გახსოვს მოსე?

— როგორ არ, რას აკეთებს სოფელში იგი ეხლა?!

— დიდი კაცია ბაჭულა. კომკავშირში მუშაობს. მითხრა მოდი ჩვენთან კოლექტივში იმუშავე. შენ ჩვენი ხარ ჩვენიო. მე გადავწყვიტე შევსულიყავი კოლექტივში, მაგრამ ამ დროს რემა შელია იყო სოფელში ჩამოსული, რომელმაც მითხრა ქალაქში წამომყევ, მამობას გაგიწევ წიგნს გასწავლიო.. რა მექნა... რემა შელია ბიძაა ჩემი. დაუჯერე. წამოვყევი. მართალი გითხრა ქალქი არც ერთხელ არ მქონდა ნახული. შემეშინდა ატონობილების და ამ ოხერ ზღვის სულ მუდამ, რომ ღრიალებს... ეხლა რემა შელია მამობას მიწევს და წიგნს მასწავლის კი არა, უზომოთ ამუშავებს დღე - ღამ, ბადეებს ვქსოვ, თევზებს ვიჭერ, ნავებს ვღებავ და რა ვიცი კიდევ რას არ ვაკეთებ. იგი ბიძა კი არა, მტერია ჩემი.

— მართალს ამბობ გაჩი. მეც რემასთან ვმუშაობდი. დღეს რაა! მას, შენს მეტი არც ერთი მოჯამაგირე არა ყავს. მაგრამ წინად ბევრი ვიყავით. გვამუშავებდა. არ ძღებოდა. ზღვაში ხამსას არ ტოვებდა და ხმელეთზე ფულს. აწი მიანებე რემას თავი და ჩვენთან იმუშავე.

ეს რომ უთხრა მოსემ, გვაჩის გაუხარდა და სიხარული ამხანაგს მკლავზე ხელის მოჭერით აგრძნობინა.

დღეს მეთევზეთა არტელიდან გვაჩიმ ავანსი მიიღო და ახლა შარვალ - ხალათი იყიდა. ნაშუადღევს ზღვაში იბანავა. შემდეგ, ტანზე ჩაიცვა, თმები განზე გადაივარცხნა და წელში გასწორდა.

ეხლა ბიცოლას დამცინავი თვალები ტანში არ ესობოდა. არც რემა შელას გამონაცვალ ტანისამოსს ნატრობდა.

ამაყად გამოიყურებოდა. უფრო მოუჩქარა ნაბიჯებს, როცა ნახა, რომ რემა შელია მისკენ მიდიოდა.

— სადა ხარ ბიჭო. სად დაიკარგე.—რემამ შორიდანვე დაუძახა.

— დავიკარგე კი არა, დღეს დავიბადე. მოსე არამზადა, რომ არ ყოფილა—ასე გაბედულად გვაჩის არასდროს რემასთვის არ მიუმართავს.

რემა გაოცდა; გვაჩის ტანზე ახალი ტანისამოსი რომ ნახა და უთხრა:

— ამით შეგიტყუეს. დაიღუპები ბიჭო, დაიღუპები... მოდი ჩემთან, უკეთესია, ისევ ჩემთან მოდი.

ამ სიტყვებზე გვაჩიმ ხმამაღლა გაიცინა. მაშინ რემა გაბრაზდა და უყვირა.

— გადარეულხარ შე საცოდავო, გადარეულხარ ჩაიქნია ხელი და გზა განაგრძო. შემდეგ, უკან მოიხედა და დაინახა, რომ გვაჩი მოსეს ოთახში შევიდა.

დღესაც, როგორც ყოველთვის გვაჩის მამლებზე უფრო ადრე გამოეღვიძა. მიმოიხედა. არავინ იყო. ფანჯრის რაფაზე იდგენ თიხის ქოთნები, რომლებშიაც ჩარგული ყვავილები ოთახში სურნელობას ფენდენ. ჰე, არასოდეს ძინებია გვაჩის ასეთ ოთახში და არც არასოდეს ყვავილების სურნელება ასე ხარბად არ უგრძვნია.

— რა კარგი სახლი აქვს მოსეს, რა კარგი ბავშვი ყავს და რა გულკეთილი ცოლი — ფიქრობდა იგი და ნატრობდა: — ჰო, ნეტავ ვიყო მოსესავით მოწყობილიო. ოცნებამ გაიტაცა გვაჩი და ადგომა სულ დაავიწყდა.

ამ დროს ოთახის კარები აჭრიალდა. მოსე შემოვიდა. მიესალმა გვაჩის და სარკესთა მივიდა თმების დასავარცხნად.

გვაჩი ლოგინიდან მარდათ წამოხტა და ახალი ტანისამოსი საჩქაროდ ჩაიცვა.

— ძმობილო კარგი სახლი გქონია. მოსემ გაიღიმა.

— არა ეს მეთევზეთა არტელის საერთო საცხოვრებელია. მე მხოლოდ სამი ოთახი მიჭირავს.

— მაშ შენი არ არის...

— **ჩემია** მაგრამ ამავე დროს **ჩვენიც** არის.

მოსემ გააღო ფანჯრები. ოთახში ზღვის ნისლი შემოვიდა ნოტიო დადგა. ჯერ კიდევ გათენებული არ იყო. საზარგო გემის ყვირილმა, რომ სივრცეში გაიგრუხუნა. ბნელოდა. ვარსკვლავები აქა, იქ ბრწყინავდენ. შავი ზღვის ნაპირის მცხოვრებლები ასეთ დროს„ მეთევზეთა განთიადს "ეძახიან, ეს იმიტომ, რომ ამ დროს მეთევზეები დგებიან. აწყობენ ბადეებს, ანკესებს და, რომ გათენდებოდა უკვე აფრებიან ხომალდებში ჩამსხდარნი სანადიროთ მოდიან.

მოსე და გვაჩი გამოვიდენ ოთახიდან და გზას, დაადგენ. აგერ ზრიალით ცალ ფეხზე შემდგარი ყანჩა

აფრინდა და შორს ლაქაშებში ტყლა-პანი გაადინა.

გზაზე მიდიოდენ: მეთევზეები, მეზღვაურები და ნავთსადგურის მტვირთავი მუშები. მეთევზეები დაეწიენ მოსეს და მიესალმენ. ერთ მათგანმა გვაჩის კითხა:

— ძმობილო ბადის გადაგდება იცი. გვაჩიმ არ გასცა პასუხი და ნაბიჯებს აუჩქარა. მეთევზემ მხრები შეათამაშა, გაიკვირვა და მეორედ შეეკითხა. მაშინ, გვაჩის მაგიერ მოსემ უპასუხა:

— არ იცის „არლანო“, უნდა შეასწავლო. მეთევზეებმა გადაიხარხარეს, ზამკოვმაც გაიცინა, რომელსაც მებადურებმა მეტ სახელად „არლანი“ შეარქვეს.

— შევასწავლი მაშა—წამოიძახა ზამკოვმა და გვაჩის მხარზე ხელი დაადვა.

— შენი ამბავი, რომ ვიცით შენ არლანზე დაკვრასაც ასწავლი — უთხრა ერთმა და სხვებს გადახედა:

— მისცხე, მისცხე — წააქეზეს ზოგიერთებმა.

ზამკოვს კიდევ უნდოდა ეთქვა რაღაც, მაგრამ საწყობს უკვე მიახლოვებულიყვნენ. ამიტომ წინ გაიქცა, რომ მისთვის კარგი ბადე აერჩია.

— შენ ჩემს ბრიგადაში იმუშავე — სხვებმა გაიცინეს და გვაჩი უსიტყვოთ დაეთანხმა.

ჩაყარეს ხომალდებში: ბადეები, ნიჩფები, ჩანგლები, ცულები და დანები. შემდეგ, აუშვეს აფრები. მოუსვეს ნიჩფებს და ტალღები შხუილით გაიპო.

გვაჩი ზამკოვის გვერდით ხომალდში ზის. არა ისე, როგორც რემა შელიასთან იჯდა. არამედ, თამამად, გაბედულად და ღრმა თვალებში სიხარული უბრწყინავს.

— ძმობილო ეხლა დაუყვირა: [illegible]ბი, ეს რომ მიყვარს, ეს ოხერი იმიტომ შემარქვეს მეტი სახელი.

ამ სიტყვებით მან არლანის [illegible] რზე ჩამოიკიდა. [illegible] ტარი დაატრიალა და არლანის ჭყიპინი ტალღების ხმაურს შეუერთდა.

გვაჩის გაეცინა და ეხლა მიხვდა, თუ რატომ ეძახოდენ ზამკოვს „არლანს“.

— მიყვარს, მიყვარს ეს ოხერი—ბუტბუტებდა ზამკოვი. უკრავდა, ღიღინებდა, იცინოდა, რასაც გაოცებულად შეჰყურებდა გვაჩი და საკუთარ თავს ეკითხებოდა:

— „ნუთუ ეს კაცი, არასდროს მშიერი არ ყოფილა.

გვაჩი ეხლა მიხვდა: თუ ვისი იყო ის აფრებიანი ხომალდები, რომლებიც შორიდან მოჩანდენ, როცა იგი რემა შელიასთან თევზაობდა.

Δ Δ Δ Δ Δ



ავსტრიელ უმუშევარ აქტიორმა გარატანმა იმისათვის, რომ მიეპყრო საზოგადოებრი ვობის ყურადღება განიზრახა ხელებით გავლა ქ. გრცპადან ვენამდე

# ვასილ ბარნოვი

ქ. მელაძე

ვასილ ბარნოვი    წП სუვო სუკსკ

50 წელზე მეტს მოღვაწეობდა ვასილ ბარნოვი მწერლობაში და ამ ხნის განმავლობაში მან სამართლიანად დაიმსახურა კლასიკოსის სახელწოდება. მის კალამს უმთავრესად ისტორიული რომანები ეკუთვნის ვასილ ბარნოვი ფეოდალურ საქართველოს რომანტიკოსად უნდა ჩავთვალოთ, რადგან მისი შემოქმედებითი ფანტაზია ყოველთვის საქართველოს ისტორიულ წარსულს დასტრიალებს და თავს ევლება მას. ბარნოვი არ ზოგავს სიტყვიერ მასალას იმისათვის, რომ რაც შეიძლება თვალწარმტაცად დაგვიხატოს ძველი საქართველო და ის ადამიანები, რომლებიც გმირულად იბრძოდენ თავისი სამშობლოს დასაცავად. ბარნოვი სასტიკად კიცხავს ყველა მათ, რომლებიც ამათუ იმ მომენტში მტერს ზურგს უჩვენებენ და ლაჩრულად დასტოვებენ ბრძოლის ველს. ბარნოვისათვის ამ მხრივ არსებობს მხოლოდ ერთი საზომი, ან გმირული ვაჟკაცური სიკვდილი, და დაცემა ბრძოლის ველზე, ან გამარჯვება.

ამიტომაც არის, რომ მისი რომანის გმირები უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ებრძვიან მტერს და ცოცხალი არ ნებდებიან მათ. მაგ. რომან „ნათელ მოსილნში" მოცემულია დიდი წინააღმდეგობების შემდეგ, თუ როგორ შეანგრიეს და აიღეს სპარსელებმა ქართველების ციხე - სიმაგრე. გამარჯვებულმა შახმა ბრძანა „ციხის თავი ცოცხლათ შეიპყარით"... „ვერ ეღირსებით. — შესძახა ყარამანმა და დაეგო თავის დაშნაზედ. მიჰბაძა სიძემ, ზოგიერთმა სხვამაც მოასწრო" ამგვარ გმირებად არიან გამოყვანილი ქართველები ბარნოვის ყველა ისტორიულ რომანში. ბარნოვი ყოველთვის უდიდესი გატაცებითა და თავდავიწყებით აგვიწერს ამ გმირებს. მაგრამ იგი დაუნდობელი და შეუბრალებელია, როცა საქმე აქვს სამშობლოს მოღალატესთან. მაგ.: „ისნის ცისკარში", რომელიც ერთ-ერთ შესანიშნავ და მაღალ ხარისხოვან მხატვრულ ნაწარმოებათაა აღიარებული მთელ ქართულ მწერლობაში და რომელიც ერეკლე მეფის პერიოდს ეხება — აწერილია, თუ როგორ დამარცხდა საქართველო მოღალატის ხელით აღამახმადხანის შემოსევისას. მწერალი აღშფოთებული სწერს: „ერს გული მოუკლა იმან, რომ ღალატი შეამჩნია, მერე რა დროს. როცა უძლიერესი მტერი ედგა კარს... ღალატმა აიმაღლა თავისი ბილწი ქედი ერეკლეს ოჯახიდან, იმ ერეკლესი, რომელმაც უზომო ღვაწლი დასდო საქართველოს, რომელმაც უზომო სისხლი დასთხია მამულის აღსადგენ ასალორძინებლად, იმ ერეკლესი, რომელიც სიცოცხლითვე გმირათ დასახა ქართველობამ, რომელსაც თაყვანსა სცემდა ქართველობაში".

„ისნის ცისკარში" ყველაზე მეტადაა გამომჟღავნებული და უმაღლეს მწვერვალზეა ასული პატრიოტული გრძნობა. ამ რომანში მწერალს ყველა გმირად გამოჰყავს — ქალაქიც და კაციც. ყველა თავგანწირვით იცავს თავის სამშობლოს და არ ზოგავს საკუთარ სიცოცხლეს.

საერთოდ ვ. ბარნოვი თავის რომანებში ძლიერად [illegible] დობისა და ვაჟკაცობის კულტს. მის რომანებში ქალებიც ისევე გმირულად იხოცებიან ბრძოლის ველზე, როგორც მამაკაცები. მათაც ისევე შესტკივათ გული სამშობლოსათვის, როგორც მამაკაცებს. და შეიძლება თამამათ ითქვას, რომ ვ. ბარნოვი პირველი მწერალია, რომელმაც ისტორიულ რომანებში ქალიც გამოიყვანა სამოქმედო ასპარეზზე და არ დააყენა ისინი მამაკაცების ჩრდილ ქვეშ, მაგ.: იგივე რომანში — „ისნის ცისკარში" ხელოსან ითამის ულამაზესი ქალიშვილი, რომელიც სპარსელებმა ტყვედ ჩაიგდეს და ხარდალს სელიმხანს მიჰ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარს გაბედულად ესაუბრება მას. და როდესაც სელიმხანი გამაღიზიანებლად მიმართავს თინანოს რომ საამ გოსტაშაბიშვილმა სატრფოც კი ვერ დაიხსნა ტყვეობიდანო, ამაზე თინანო ამაყად პასუხობს: — სტყუი, უსჯულო, საამს ერთათ ერთი სატრფო ჰყავს ტყვეობაში — თავისი სამშობლო, მე მხოლოთ მავედრებელი ვარ მიენიჭოს მას გამარჯვება... ქალების მიერ თავ განწირვა სამშობლოსათვის კარგად აქვს მოცემული ბარნოვს აგრეთვე „ხმელ მოსილნში“ გადამწყვეტი ბრძოლაა სპარსელები უტევენ ქართველების ციხე - სიმაგრეს; ქართველები ვეღარ უძლებენ მტრის სიძლიერეს: „გაჭირვება უკანასკნელი; ქალთა ჯგუფი ციხის კედელზედ. აკერილი მოკლედ კაბები. ფერხთ მაშიები. თავის ჩითი თავზე წაკრული, ქამარ - ხანჯალი. დამკლავებული ამოუდგენ მებრძოლ ვაჟკაცებს. უძლოდა შუქურ. ისრებს აწვდიდენ შუბთ მიართმევდენ. გაჰქონდათ მკვდრები თუ დაჭრილები. წყალს უზიდავდენ. გააფთრებულთ მთლად დაჰკარგეს შეგნება შიშის. მებრძოლ ვაჟკაცთა ამხნევებდა მათი იქ ყოფნა—ლომებად იქცნენ. „და ასეთი მებრძოლი ქალებით სავსეა ყველა მისი ისტორიული რომანები. აქედან მტკიცდება ის, თუ რამდენად სიმპატიურად არის განწყობილი ბარნოვი საქართველოს ისტორიულ წარსულისადმი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბარნოვი ქართულ ლიტერატურაში უთუოდ პირველი მწერალია, რომელიც მთლიანად წარსულს ეყრდნობა. ისტორიული წარსული აი მისი თემატიური მასალა. ამ წარსულში მწერლის აზრით ყველაფერი კარგი და მომხიბლავია. ბარნოვის მოთხრობის „არქეოლოგიური ნაშთი“-ს ერთერთი გმირი პირდაპირ ამბობს: „მიყვარს ბაზარში სიარული თვალიერება. ჩემი გასართობი ეს არის. ახალ ბაზარში არა, ევროპიდან გადმორგულ მაღაზიებში. იქ არავითარი საქმე არა მაქვს, ძველ ქუჩებში; ძველ დუქნებში, შეხვდები იქ [illegible]რახურაში ნივთს უწინდელს, თუ ნივთის ნატეხს. თითეული ძველი ნაშთი გიამბობს თავის თავგადასავალს... უნდა შევისწავლო, კიდევ ბევრი მაქვს დასასწავლი, გამოსარკვევი. ჯერ მასალის რამდენი დაკვირვება ეჭირვება, ანუსხვა, გამორკვევა, რომ გაცოცხლდეს ყოველი ნივთი და თავისი პირით უამბოს [illegible]ლას ის ცხოვრება, რომლის მო[illegible]ეც ყოფილა იგი. რომლის ნასა[illegible] აღბეჭდილია მის სახეს თუ [illegible]ნს“.

აქ თავისი გმირის ენით თვით ვასილ ბარნოვი ლაპარაკობს. მის გმირებს საქმე არა აქვთ ევროპიულ



**ტფილისის სადგური. დედათა და ბავშთა ოთახი.** სადგურში არსებობს დედათა და ბავშთა ოთახი, სადაც დიდი მზრუნველობით ეკიდებიან ბავშებს, ამას მოწმობს ის წერილები, რომელიც მოდის მგზავრებიდან სადგურს. **სურათზე:** ბავშების გასართობი დე დათა ბავშვთა ოთახში.

□ □ □

ყაიდის მაღაზიებში, რადგან იქ ძველის შესახებ ვერავითარ ნივთს ვერ იპოვნიან. ამიტომაც არის, რომ ვ. ბარნოვი თავის გმირებით ისტორიის კუთხეებს ეფარება. ამიტომ არის, რომ ბარნოვმა თავისი შემოქმედებისათვის წარსული აირჩია. და ამ წარსულის გადმოცემის დროს ვასილ ბარნოვისათვის ერთი შემკრები ცენტრში სამშობლოა. მცხოვანი მწერლის შემოქმედებაში ნაკლებათ იგრძნობა გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლა, თითქოს ის მაშინ არც არსებულიყოს: ვ. ბარნოვი უდიდესი ჰუმანისტია და მას თავის რომანებში „კაცთ მოყვარეობის თეორია აქვს განვითარებული. ვერ ნახავთ მის ნაწერებში ერთ შემთხვევასაც კი, სადაც მდიდარი და ღარიბი, ბატონი და ყმა იბრძოდეს. ანდა მათ შორის არსებობდეს რაიმე წინააღმდეგობა, პირიქით, იგი ჰუმანიტურად ცდილობს მათ შორის მშვიდობიანობის ჩამოგდებას, „ჩატეხილი ხიდი“-ს გამართლებას. ასეთი ხაზი ბარნოვში უნდა აეხსნათ მისი მეთოდით და მსოფლმხედველობით. ბარნოვის მეთოდი წარსულის მოცემის საკითხში რეალისტურია, მაგრამ მასში მძლავრადაა მოცემული რომანტიზმი. ამიტომ ჩვენ შემცდარათ მიგვაჩნია ბარნოვის მხოლოდ წმინდა რეალისტად გამოცხადება. ბარნოვს ვთვლით ჩვენ რომანტიული რეალიზმის წარმომადგენლად. იგი სწორედ რომანტიზმის დანგრეულ სიმაღლიდან დაჰყურებდა ისტორიულ სინამდვილეს და ფსიქოლოგიზმით ასაბუთებდა მოვლენებს. ამით უნდა ავხსნათ ის გარემოება, როცა ბარნოვის შემოქმედებაში არ გვხვდება მძაფრი კლასობრივი ბრძოლები; მის რომანებში სიმშვიდეა. არსებობს მხოლოდ სამშობლო და ამ სამშობლოს გარეშე მტრები. ბარნოვის აზრით სამშობლოს დასაცავად ყველა მზადაა, მეფე, მდიდარი ღარიბი, აზნაური, თავადი, მღვდელი და სხვა. აქ ორი პასუხი არ შეიძლება არსებობდეს — სამშობლოს განსაცდელი აქვს, მაშასადამე, ქართველებმა უნდა დაიცვონ ის. მას მთელი საქართველო ერთ მთლიან ოჯახად აქვს წარმოდგენილი, სადაც იდილიური სიმშვიდე სუფევს. თითქოს მთელი საქართველოს მცხოვრებნი ერთნაირ განწყობილებაში იყვნენ მეფესთან. თითქოს არ ყოფილიყოს სხვადასხვა სოციალური ფენები. საერთოდ ბარნოვის შემოქმედებაში ეს სოციალურ ფენებად დაყოფა და მათ შორის ბრძოლები, მიჩქმალულია. ამის მიზეზი ცხადია უნდა ვეძებოთ იმ არა სწორ მეთოდში, რომელსაც ბარნოვი ეყრდნობოდა, და მეორე მხრივ აქედან გამომდინარე თემატიურ მასალასთან ერთი კუთხიდან მისვლაში. ბარნოვი იღებდა რა რომელიმე ისტორიულ თემას მთელი ყურადღების ცენტრი გადაქონდა გარეშე ქვეყნებთან დამოკიდებულების საკითხებზე და მხედველობიდან უშვებდა იმ სოციალურ წინააღმდეგობებს, რომელსაც ადგილი ქონდა საქართველოს სინამდვილეში.

ვ. ბარნოვს ისტორიულ რომანების, გარდა მოეპოვება მთელი რიგი პატარ - პატარა მოთხრობები, რომლებშიაც იგრძნობა დიდი მწერალი. ამ მოთხრობებში ის სულ სხვა საკითხს აყენებს რომანებთან შედარებით, მაგრამ მათ შორის მაინც არის ერთი დამაკავშირებელი ძაფი. ეს არის წარსული თემატიური მასალა. ყოველი მოქმედება მის შემოქმედებაში წარსულის სამოსითაა მორთული. ყველაფერი „არქეოლოგიური" თვალსაზრისითაა გაზომილი. ამით აიხსნება სწორედ ის, რომ ვასილ ბარნოვი საქართველოს მთლიანად არქეოლოგიურ ქვეყანას ეძახის.

მისი პატარა მოთხრობები ბედისწერას ეყრდნობა, რომელშიაც მკლავრადაა გამომჟღავნებული ჰუმანისტური დამოკიდებულება ადამიანთა შორის. ბედისწერის საკითხს ბარნოვის შემოქმედებაში ერთი ცენტრალური ადგილთაგანი უკავია, რომელთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული შემთხვევითობა. ბარნოვის შესანიშნავ პატარა მოთხრობა „ლეგას ჩოხაში". დედისერთა ლეგას შეუყვარდება მეზობლის ქალი ნანინო, რომელიც შეძლებული ოჯახიდანაა, როგორც იქნა ლეგას „ბედმა" გაუღიმა. დაინიშნა ქორწილის დღე. ლეგას ფული არა აქვს. გადასწყვიტა ტყიდან შეშის ჩამოტანა და ქალაქს გაყიდვა. ის გაეშურა ტყეში, ამხანაგითურთ. ეს გამგზავრება ლეგასათვის საბედისწერო შეიქნა. როდესაც ერთი უზარმაზარ ხის ჭრას ამთავრებდნენ ქარიშხალმა დააჩქარა ხის გადაღეხვა: დაჰბერა მძლავრად, დაზნიქა ხე და გადატეხა, მოასწრო ლეგამ, გახტა განზედა. ძარღვნი ერთ დროს არ დააწყდნენ წამოსულ წიფელს, შეტრიალდა ხე ჰაერშივე და ტოტის წვერი მოჰკრა ვაჟკაცს. ძირს დაანარცხლა... დატვირთული ურმის ბადლად მიაყენეს კარს მომაკვდავი". ვერ უშველა დედის ზრუნვამ ვერც დალაქმა და ბებიამ" ლეგამ სამუდამოდ დახუჭა თვალები. აქ მშვენიერადაა მოცემული ის მომენტი, როცა ნანინო შემოდის და მიმართავს მომაკვდავ ლეგას: „ბიჭო ლეგა, როგორ ხარ, შენ გენაცვალე, ჩასძახა ქალმა"... ნანინოჯან გიკვდება ლეგა. ეს ადგილი დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე. შემთხვევამ იმსხვერპლა ლეგა. მისი წადილი შეერთო ნანინო ალაგ დასცალდა. ბედისწერამ ისინი ერთმანეთს დააშორა. სხვა მოთხრობებშიაც ბედისწერა წინა პლანზეა აქვს ბარნოვს მოცემული. ასეთ სურათს ვხვდებით მაგ.: მოთხრობა „დედა"-ში, რომელშიაც მოცემულია დედაშვილის მყუდრო ცხოვრება. ეს მყუდრო ცხოვრება არღვია ერთმა პატარა შემთხვევამ. ფარნას ლოყაზე გველმა უკბინა, გველის მსხვერპლი გახდა დედაც, რადგან მან შვილის გადარჩენის მიზნით ნაკბენი პირით ამოსწოვა. აქაც შემთხვევითობაა და ბედისწერაზეა ლაპარაკი. საერთოდ ბარნოვი ბედისწერის წინაშე ქედს ხრის, მუხლებს იდრეკს, უმორჩილებს მთელი შემოქმედების აზრს და იდეას. ასეთივეა მისი მოთხრობა „სესე" მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მასში მოცემულია, თუ როგორ შეუძლია ფულს გამოცვალოს ადამიანი. მაგრამ აქვე ჩართულია ერთი საკითხი, რომელსაც ბარნოვი ბედისწერას არ აშორებს. ეს არის კაცთმოყვარეობა, სინდისის ქენჯნა. სესე ღარიბი გლეხი გულკეთილია, მაგრამ შემთხვევით მეზობელი ნახა საკუთარ სახლში მკვდარი, რომელსაც ბევრი ოქრო - ვერცხლი ქონდა ჩამოტანილი, სესე რა დარწმუნდა მასში, რომ ეს მკვდარი იყო მისი ოქრო - ვერცხლი თან წაიღო. სესე გამოიცვალა, გაძუნწდა, შეიქნა ხარბი. მაგრამ მას მაინც სტანჯავდა სინდისი და ერთ დღეს წავიდა კაშვეთის მონასტერში, ცოდვების მოსანანიებლად ბერ ვასიანესთან. მან მოინანია ცოდვები, ბერი სესეს გამოსტუმრებისას მიმართავს: „წადი, შვილო, და იშრომე პატიოსნად. „ბარნოვს აქ განვითარებული აქვს პატიოსანი შრომის ფილოსოფია. საერთოდ ბარნოვის შემოქმედებაში არ გვხვდება წამგლეჯობით გამდიდრებული ადამიანი. ასეთ ხალხს იგი ყოველთვის ზიზღით იხსენიებს. ბარნოვის დიდი დამსახურება ის არის, რომ მის შემოქმედებაში გლეხს თავისი სიტყვა მიცემული აქვს, მაგრამ ეს გლეხი არსად არ უჩივის თავის ბედს. ბარნოვი ამ შემთხვევაში ცდილობს საერთო ენის გამონახვას — სხვადასხვა წესდებებს შორის. ეთიკისა და ზნეობრიობის საკითხსაც დიდი ადგილი აქვს დათმობილი მის შემოქმედებაში.

ბარნოვს აქვს მოთხრობა „მუშა". მუშის ბუნება მწერლის მიერ ყალბათაა მოცემული. სხვა ხასიათის საკითხებიც აქვს ბარნოვს წამოყენებული, თავის შემოქმედებაში, მაგრამ ისინი დაჩრდილულია ისტორიულ მასალებით და წარსულით. ბარნოვი თავის მოთხრობაშიც, „ტკბილი დუდუკი", რომელიც თითქოს განყენებულ საკითხს ეხება, როგორიცაა მელანქოლიური ადამიანის ბუნების გამომჟღავნება, აქაც წარსულის დიდება მოჩანს. მის მთავარ გმირს მიხას უყვარს დუდუკისა და თარის ხმა. უყვ[illegible] [illegible]ნი მოაგონებენ [illegible] დიდი ხნის წარსულს". ამ დიდი ხნის წარსულით საზრდოობს ფეოდალურ საქართველოს რომანტიკოსი ვასილ ბარნოვი, მისი შემოქმედება ამ წარსულით სუნთქავს, მის შემოქმედებაში ცოცხლდება ძველი არქაული ქართველი. იგი წარსულიდან ისტორიულ ფაქტების დასახელებაში რეალისტია, მაგრამ მის გაშლაში, გაგებაში და გადმოცემაში კი რომანტიკოსი. ის ჭეშმარიტი რომანტიული რეალიზმის წარმომადგენელია. ბარნოვის შემოქმედება ჩვენთვის დიდ ლიტერატურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამ მემკვიდრეობას ესაჭიროება ლენინური ათვისება, კრიტიკულად დაძლევა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიზიარებთ ბარნოვის შემოქმედებითი მეთოდს, მის გზას, საკითხებისადმი მიდგომას და თვალსაზრისს, მისგან ჩვენ შეგვიძლია ბევრი რამ ვისწავლოთ, როგორც ყოველ დიდ კლასიკოსისაგან.

ბარნოვი ქართულ ლიტერატურაში დარჩება, როგორც შეუდარებელი ოსტატი ისტორიულ რომანებისა. დიდებულმა მოხუცმა დიდებულად დაასრულა სიცოცხლე და შემოქმედება

○ ○ ○ ○



ზემო-ქედის კომუნაში. ზემო-ქედის კომუნის მეღორეობის ფერმაში ამჟამად ითვლება 384 ღორი. სურათზე: ფერმის საუკეთესო დამკვრელი მეღორე ამხ. მქერვალიძე.

# ტფილისის ზოოპარკი

ქ. ჯავახიშვილი

ტრამვაის მე-18 მარშრუტის უკანასკნელი გაჩერება მდინარე ვერის ხიდთან. ხიდი შარშანდელი აგებულია, მაგრამ ბრინჯაოს გრიფონები მის კუთხეებს, რომ ამშვენებს—მოგონილია ოდესღაც ცნობილ რესტორან „ტილიპუჭურიდან“.

და ეს გრიფონები მოგაგონებს ვერის ბაღების წარსულს. აბრეშუმის ქარხნიდან — ზევითკენ — ვერის ხეობას მიჰყვება ბაღები—ხილის, ბოსტნები, ასწლოვანი ხეები, იასამანის ხეივნები და ყვავილნარები. აქ ოდესღაც „ქალაქელების“ საქეიფო და თავშესაქცევი ადგილი იყო, გაისმოდა არღნისა და შექეიფიანებულ მოქალაქეთა ხრიალი, განუწყვეტელი სიმღერა.

1927 წელს ჩაეყარა საფუძველი ტფილისის ზოოპარკს. 80 ჰექტარი ვერის ხეობისა გადაეცა. ზოოპარკის მშენებლობას. უფრო შესაფერი ადგილის მოძებნა — ძნელია მიდამოს რელიეფი — ხეობა, ადგილ ბაღით დაფარული, ადგილ გაშიშვლებული, კლდეები, მდინარე ქალაქის სიახლოვე თითქოს ყველაფერი საგანგებოთაა ზოოპარკისთვის გამზადებული. ბინადრების პირველი ჯგუფი—კერძო სამხეცეს გაძვალტყავებული ცხოველები რამდენიმე თვეში ისენი მოკეთდენ, და თავის თავს დაემსგავსენ. ლომი სამხეცეში ქეციან კატას, რომ მოგაგონებდათ, მართლა „ცხოველთა მეფეს“ და-მსგავსა, ვეფხვის თვალებში [illegible] სხვა ცეცხლი დაენთო.

ასე ჩაეყარა საფუძველი ზოოპარკს.

ნელი ტემპებით მოდიოდა ზოოპარკის მშენებლობა და მხოლოთ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დაეტყო გამოცოცხლება და სახის შეცვლა.

დღეს აქ გაცხოველებული მუშაობაა პირველად ყოვლის — ზოოპარკის მთელ ტერიტორიას შემოევლო ოთხ მეტრიანი კედელი. შოსეს მხრიდან ვარდისფერი ეკლარის ქვის ღობეა და რკინის ჭიშკარი. ჭიშკარის იქით ცხოველთა სამყარო იწყება.

ცხოველი — ყველა ჯიშისა და ყველა ქვეყნისა. თუმცა—ყველა ჯიშისაზე რა მოგახსენოთ—აქ ვერც სპილოს ნახავთ და ვერც ჰიპოპოტამს, მაგრამ ზოოპარკის სამეცნიერო ნაწილის გამგესა და ამ საქმის უალრეს ენტუზიაზისტს **არჩილ ჯანაშვილს**, რომ ჰკითხოთ—გიპასუხებთ—რომ სპილო-კი არაა მთავარი სპილოს ნახვა სხვაგანაც შეიძლება. მთავარია ადგილობრივ, კავკასიურ ყველა ჯიშის ცხოველების დაგროვება.



ტფილისის ზოოპარკის დირექტორი შველთან

□

ზოოპარკი შვიდი განყოფილებისაგან შესდგება.

მთავარია კავკასიის განყოფილება—დღეს უკვე გახსნილია ჯიხვების უშველებელი ფარეხი, სადაც საღამო ხანს, ხელოვნურ კლდეღრეში—ჯიხვებს ისეთი ჭიდილი და რქების ჯახა-ჯუხი აქვთ გამართული—გეგონება თოფებს სცლიანო. ვიწრო ფარეხიდან გამოშვებული — ჯიხვები ისე გალაღდენ—რომ ეს შვიდიათას მეტრიანი ფარეხიც აღარა ჰყოფნით და მის სამ მეტროიან კედლებს ასქდებიან წამდაუწუმ. ყველაზე საინტერესო — ეგზოტიური — განყოფილება დღეს გალიებში მომწყვდეული—მაგრამ მალე — ლომებსაც და ვეფხვებსაც შეუქმნის „ბუნებრივ პირობებს“ და ისინიც მოითქვამენ სულს.

ცალკე შენდება ს. ს. რ. კ-ს ცხოველთა განყოფილება. აქ იქნება მთელი საბ.ჭ. კავშირის ფაუნა—პოლიარული სამყარო, შორეულ აღმოსავლეთის ფაუნა (ტაიგა, ცენტრალურ აზიის მთების ფაუნა“—აქ იქნება—უსურიის ვეფხვები, თეთრი დათვები და სხვა ათასი ცხოველი ჩვენი თვალუწვდენელი კავშირისა.

ცალკე იქნება სამხარეთმცოდნო განყოფილება; აქ ცხოველები განაწილებული იქნებიან გეოგრაფიულ ზონების მიხედვით. ალპიურ ზონაში—ირმები, შვლები, დათვები, მგლები და აფთრები, სტეპების ზონაში—ადგილობრივ ფაუნის გარდა—პრჟევალსკის ცხენები და ჯეირნები; ჭაობის ცხოველებისა და ფრინველებისათვის საგანგებოთ მოეწყობა დიდი აქვარიუმი და ტერარიუმი.

80 ჰექტარია — ზოოპარკის ფართობი და როცა ზოოპარკი გაიშლება და დაიჭერს მთელ თავის მიწაწყალს—მის დათვალიერებას ერთი დღეც აღარ ეყოფა. დღესაც, როცა მას მხოლოდ პატარა ნაწილი უჭირავს თავისი ტერიტორიისა, რამდენიმე საათს უნდება მის შემოვლას.

ლომი და ვეფხვი, რომ არ ნახო არ შეიძლება. საგანგებოთ მოწყობილი აქვარიუმში—ათასფერებით მოელვარე პაწაწინა თევზების ცქერა—არ დაგღლის საათობით, მაგრამ—ირემი და შველიც ხომ უნდა ნახო, მაიმუნების კოლექცია დაათვალიერო—და ფრინველების ვოლიერებისკენაც გაიარო—ასე გადის საათები—დასასვენებელ დღეს ხალხი უნდა მოვიდეს აქ მთელი დღით. ამისათვის უკვე დაწყებულია ყვავილნარის მო;ყობა—დარგულია რამდენიმე ათასი წიწვოვანი ხე და სამმართველოს წინ დიდი ბაღი გაშლილი.

მაგრამ — ზოოპარკი მარტო გასართობი და კულტურულ-მასიური დაწესებულება როდია.

ზოოპარკის დაარსებასთან ერთად ტფილისის მეცნიერებს. მიეცათ საშუალება თავისი მუშაობა—ზოოლოგიის, ბიოლოგიის. ქცევათ მეცნიერების დარგში აქ გადმოეტანათ.

დღეს ზოოპარკი თანდათანობით იქცევა საბუნებისმეტყველო მეცნიერების ერთერთ კერად. აქ აწარმოებს თავის ცდებს უმაღლეს ხერხემლიან ცხოველებზე ჩვენი სახელოვანი მეცნიერი პროფ. **ბერიტაშვილი**, აქ მუშავდება ათასგვარი საკითხი ბიოლოგიისა.

განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ბეწვიან ცხოველებს;

წაის, კვერნას.

აქ დაწვრილებით სწავლობენ მათ ბიოლოგიას. ავადმყოფობას. მიმდინარეობს დიდი მუშაობა ცხოველთა გიპრიდიზაციაზე (შეჯვარებაზე). უკვე ჩატარებულმა ცდებმა—თხისა და ჯიხვის შეჯვარების საქმეში მშვენიერი შედეგები გამოიღო. ზოოპარკში დაბადებული „ჯიხვთხები“ სულ 15-მდე)—ისიდიდით ორჯერ მეტი არიან მშობლებზე, და ადვილათ უძლებენ ავადმყოფობას. სამი

წლის განმავლობაში მათთან მცხოვრები ჯიხვები ბევრჯერ დასნეულდენ „ჯიხვ-თხებს"-კი ავადმყოფობამ ვერაფერი დააკლო. თუშური ცხენისა და ზებრისაგან მიღებული ახალი ჯიშის ცხოველი „ზებროიდი"—როგორც მუშა საქონელი—იგი მშვენივრად ამართლებს ყველა პირობას—გამძლეა, ადვილათ ეგუება ჰავას და მწირ საკვებს.

სამეცნიერო მუშაობის წასამართავად სამეცნიერო აკადემიის საქართველოს განყოფილება ხსნის აქ ექსპერიმენტულ ზოოლოგიის, პარაზიტოლოგიისა და ცხოველთა ქცევის ლაბორატორიას—და — სად ჩამოვთვალოთ ყველა ის საქმე რაც აქ კეთდება.

დღეს—ზოოპარკი მხოლოდ შენდება და შლის თავის [illegible] ხვალ ის ტფილისის [illegible] კულტურულ დასვენების ერთ-ერთი—ყველაზე საინტერესო და სასარგებლო ადგილათ გადაიქცევა.

ექ. ანრი აბშიძე

# ყინულისმჭრელ „ლიტკე"-ზე



კოლიუჩინის გუბესთან, რომელსაც ჩრდილო დასავლეთით კოლიუჩინის კუნძული ახლავს გასული წლის ნოემბერში ყინულები გაუვალი იყო: აქ მოსული გემები ელოდებოდენ სამხრეთის ქარს, რომ ყინულები ზღვაში გაერეკა. ყინულების სქელი ფენა, მათი თვალუწვდენელი სივრცე საშუალებას არ აძლევდა დაშორჩილებულ გემებს: „ჩელიუსკინს", სვერდლოვსკის" და „ლეიტენანტ შმიდტს" — წინ წაეწიათ. ამ გემებს უკვე აღარ შეეძლოთ დაემტვრიათ ეს ყინულები. და გამოსულიყვნენ გამოსვლამდე კი 130 მილი დარჩენოდათ. ყინულები თავის ტუსაღებს ვერ ელევა, უნდა ჩვეულებისამებრ გაუმასპინძლდეს. სამხრეთის ქარი არ ჩანს, რომ ნაპირი გაანთავისუფლოს ყინულებისაგან, სადაც გემები მოგზაურობენ. აქ ყოველი გემი ცდილობს დადგეს ნაპირთან რაც შეიძლება ახლოს, რადგან შორს, ზღვაში წასული გემი, რაიმე უბედურების დროს კარგავს ნაპირთან კავშირს, დახმარება ძნელდება და თუ გემს საფრთხე მოელის ნაპირზე მისვლაც გასაჭირია.

ჩრდილო - დასავლეთით ქარი თანდათან ერეკება ყინულებს ნაპირისაკენ, ყინულები ჯგუფდება, ნაპირი ერთის მხრივ საშუალებას არ აძლევს ყინულების წინ წაწევას, მეორის მხრივ ქარია და ყინულები ორივე მხრივ დაწოლას განიცდის, ერთი მეორეს ასხდებიან ხდება ყინულების შეგროვება ანუ დასართულება, ყინულების ასეთ პატარა გორაკს რაპაკი ეწოდება. ხოლო უფრო მოზრდილს ტოროსი. როდესაც ყინულების ასეთი გროვა შეჯგუფდება იტყვიან ტოროსდებაო ამ დროს გემი საფრთხეშია: თუ გემის კორპუსი ძლიერია, ყინულმა ორივ მხრივ მუხრუჭის გვარი მიწოლის გამო შესაძლოა ზევით მოაგდოს. ეს პატარა გემისთვის ერთის მხრივ კარგია, რადგან ყინულზე ამოგდებული უვნებელი რჩება და შემდეგში გამოსადეგი. ასეთი შემთხვევა გამონაკლისია. უმეტეს შემთხვევაში ორივ მხრივ მიწოლის დროს ყინულები შეამტვრევს ბორტს, გემში წყალი შედის და იძირება. ამ დროს გემზედ მზად არიან დასტოვონ იგი და ეძებონ გადარჩენის სხვა საშუალებას. პოლიარულ ზღვას უყვარს სტუმარის წამება. გაუმასპინძლდება 40—45° ყინვიან ქარით, დაიწყებს რაღაც გაუთავებელ პოლიარულ ღამეს, თათრად შემოსავს ტუნდრებს, მთებს, ცხოველებს. მონადირის თაგვიც კი ტუნდრებისა თეთრდება ზამთარში, შეხამებაში ჩრდილოეთის პირველი ადგილი უჭირავს. საზამთრო საზამთრო სპეც-ტამსაცმელი მის მკვიდრ ცხოველთათვის სავალდებულოა. მშვენიერია არქტიკა თავისი სიმკაცრით, მკაცრია მაგრამ მასაც აქვს თავისი სილამაზე: ჩრდილოეთის ელვარება, ზაფხულის თეთრი ღამე, როდესაც მთვარე სრულებით არ ჩადის. არქტიკას თავის სილამაზით უფრო მეტი მიზიდული ყავს ვიდრე განდევნილი. ყინულები მოქცეული გემები ნელ-ნელა მოძრაობენ ყინულებთან ერთად. მათთვითს გარკვეული კურსი (მიმართულება) არ არსებობს. „სვერდლოვსკი" და „ლეიტენანტ შმიდტი" რამოდენიმე საჟენზე იყვნენ დაშორებული „ჩელიუსკინი" კი სადღაც შორს ზღვაში ეძებდა გასავალ გზას.

ჩრდილო - დასავლეთის ქარი ნელ-ნელა გემებს ბერინგის სრუტისაკენ მოათრევდა. ყინულებს გემებიც თან მიქონდათ, ასეთ უნებლიე მოქმედებას, როდესაც გემის მანქანა არ მოქმედეობს ხოლო გემი მაინც თავის უნებურად რომელიმე მიმართულებით დრეიფს უწოდებენ. დრეიფი კარგია, იმ შემთხვევაში, თუ იგი იმ მიმართულებით სწარმოებს საითაც გემის მიმართულებაა, როგორც მაგ. გასულ წელს 1932 წლის სექტემბრის ბოლოს რიცხვებში, როდესაც „სიბირიაკოვი" სერდცე—კამენს უახლოვდებოდა დაკარგა ხრახნი შაილიახად. დრეიფში მოხვედრილი 18 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე ყინულებში დაეხეტებოდა, უხრახნობა ძნელია. გემს სვლა ეკარგება. საჭირო ხდება იალქნების აშლა რომელიც ყინულებში დიდის წარმატებით ვერ სარგებლობს. 1 ოქტომბერს სიბირიაკოვი გამოგდებული ბერინგოვის სრუტეში ბუქსირით წაიყვანა გემმა „უსურეცმა" ასეთი დრეიფი კარგია, მაგრამ ყოველთვის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ არ მოგზაურობენ, უნდა წახვიდე დასავლეთისაკენაც როგორც მაგ. ჩვენი ექსპედიცია იყო 1932 წლის ჩრდილო აღმოსავლეთის პოლიარული ექსპედიცია, სადაც მთელი ქარავანი შედიოდა. დეჟნევიდან კონ სერდცე—კამენამდე 20 დღე მოუნდით. მაშინ, როდესაც ამ გზის გარებას რამდენიმე საათი სჭირდება. 27 ივლისიდან 17 აგვისტომდე ერთ ადგილზე ვტრიალებდით, გავდიოდით დილით დეჟნევიდან, საღამომდე წვალებით მივაწევდით კონცხს სერდცე-კამენს, სადამდეც 70 მილია, გადიოდა ღამე და მეორე დილით ისევ უელენში ან დეჟნევთან გახლდით დრეიფი იყო მოწინააღმდეგე მიმართულებით. 17 აგვისტოს, როგორც იქნა გავცდით სერდცე-კამენს და 20 აგვისტოს კი კოლიუჩინის უბესთან ვიყავით, რის შემდეგაც მშვიდობიანად განვაგრძეთ გზა კოლიმასაკენ. ყინულებში ცდომის დროს გემს ყოველთვის ყინულზე ამაგრებენ, ლუზაზე დგომა არ შეიძლება, რადგან ყინულთა მოძრაობამ შესაძლოა ლუზას ჯაჭვი გადასჭრას. ამის გამო დრეიფისაგან ვერ გაექცევი. 24 ოქტომბერს ჩელიუსკინი მიუახლოვდა „სვერდლოვსკს" და „ლეიტენანტ შმიდტს" 10 მილით, გემები ერთი მეორეს ხედავენ, თან და თან წინ მოიწევენ.

ჩვენმა ყინულის მჭრელმა „ლიტკემ" დაამთავრა თავისი საქმე გამოიყვანა 1932 წ. ექსპედიციიდან 5 გემი სამშვიდობოზე. ნახშირს იღებს და უნდა დაბრუნდეს დრეიფში მოხვედრილ გემების დასახმარებლად. „სვერდლოვსკი" ავარიას განიცდის, ყინულების შეჯგუფება გემს დალუპვას უქადის, ზევით ამოსწია, სიმძიმის ცენტრის დაკარგვის გამო ერთ მხარეზე გადაიხარა, გემზედ სიარული სჭირს, ერთი ბორტიდან მეორეზედ გადასვლის დროს თითქოს მთაზედ ადიოდე ისეთი აღმართია, გემიდან სულსაც სანოვაგე ყინულზე გადაჰქვთ, ემზადებიან გემი დასტოვონ. ელიან ყოველ წუთს გემის დალუპვას, მაგრამ რამოდენიმე საათის შემდეგ გემის თავის ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდება. ყველანი მშვიდდებიან.

29 ოქტომბერს მივაღწიეთ იკიგურის კონცხს. ამინდი წახდა. ნისლმა მთელი მიდამო დაჰფარა. იწყებოდა ყინულთა მოძრაობა. წინსვლა შეუძლებელი იყო, გემები კი ახლოს იყვნენ: „ჩელუსკინი" ჩრდილოეთით ათი მილის მანძილზე, „სვერდლოვსკის" და „ლეიტენანტ შმიდტს" კი იკუგურამდე ვერ მოეწიათ, დასავლეთით რამოდენიმე მილზე იყვნენ დაშორებული, რადგან არაფერი სჩანდა დავბრუნდით უკან. მაშინ „ჩელუსკინი" დახმარებას არ ითხოვდა. წამოვედით უელენში, სადაც უნდა მოგვეხსნა მოზამთრეები, რომლებიც თვითმფრინავით იყვნენ გადმოყვანილნი, მოზამთრე გემებიდან. ბილინქსის კონცხ-

თან ზამთრობის ჩვენი სამი გემი „ხაბაროვსკი“ 1933 წლის კოლიმას ექსპედიციიდან მეორედ ზამთრობენ „ანარირი“ და „სევერი“ (ამ უკანასკნელებზე არის ექიმი ამხ. გ. ზედგინიძე) 1932 წლის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის პოლიარულ ექსპედიციიდან მოზამთრეები, რომლებიც ზედმეტნი იყვნენ და ზოგნი სურავანდით (ცინგა) დაავადებულნი გადაწყვეტილი იყო მოეხსნათ გემებიდან, რადგან ისინი სპეციალურ კვებას საჭიროებდნენ, ავადმყოფები საჭიროებდნენ აუცილებელ გადასხმას მატერიკზე. ეს ასეც მოხდა: ზოგი თვითმფრინავებით ზოგიც ძაღლების მარხილებით მოყვანილ იქნენ უელენში. სიდგანაც ჩვენ მე გვყავდა ბუხტა პროვედენიეში სპეციალურად ვალდივოსტოკიდან მოსულ გემ „სმოლენსზე“. აგრეთვე მოვხსენით „ჩელუსკინი“-დან 9 კაცი, რომლებმაც დასტოვეს „ჩელუსკინის“ ბორტი ზამთრის მოლოდინში კოლიუჩინის გუბესთან დგომის დროს ჩელუსკინელები გვიამბობენ განსაცვიფრებელ ამბებს. ყინულეთი ხმელეთს არა გავს შიშსაც ნახავ, ცივ წყალშიაც იბანავებ ყინულიდან ყინულზე გადახტომის დროს. მაგრამ ყველაფერი ეს მიმზიდველია. არტიკას ორი ავადმყოფობა იცის: ერთია ცინგა და მეორე ის რომ ერთხელ იქ ყოფილ ადამიანს გული სულ მისკენ მიუწევს ხშირად უბრუნდება არტიკას, ისევ ყინულებისაკენ მიეშურება, უყვარს არტიკა. თუ უწინ რამოდენიმე ათეულ წლების წინათ მთელი ექსპედიციები იღუპებოდა, ხალხი ცინგათი იხოცებოდა, ზოგი უგზო-უკვლოდ იკარგებოდა, დღეს ამგვარ რამეს თუკი იშვიათად გაიგონებთ. ერთი ორი კაცის დასახმარებლად, მთელი კავშირი ფეხზე დგება. მთელს ჩრდილოეთის სანაპიროებზე გაფანტულია მეტეოროლოგიური და რადიო სადგურები, რომელთაც აუცილებლივ დიდი მნიშვნელობა აქვს არქტიკის შესასწავლად. ავიოდრომები, საიდანაც საშუალება არის, თვითმფრინავის შემწეობით მოახდინონ ყინულების დაზვერვა გემისათვის გზის გასაკვლევად.

30 ოქტომბერს დრეიფში მოხვედრილი გემები დეჟნევს უახლოვდებოდენ „ჩელუსკინი“ უელენთან თავის თანამგზავრ ყინულის მოედანზე მიყინული მიეშურებოდა ჩრდილო-დასავლეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ. საითაც გზა ქონდა. „სვერდლოვსკი“, და „ლეიტენანტ შმიდტი“ გამოცდენ დეჟნევს, და პირველ ნოემბერს მოვიდენ პროვედენიეში. გაიმართა საზეიმო შეხვედრა. პირველი შემთხვევაა, რომ ამ დროს, ნოემბერში პოლარულ ზღვიდან გემი გამოსულიყოს. მაგრამ საბჭოთა მეზღვაურს არაფერი აშინებს. გემები შეკეთებას საჭიროებდენ და კამჩატკისკენ, პეტროპავლოვსისაკენ მიემართებიან.

ჩელუსკინი ამ დროს შემობრუნდა ბერინგის სრუტესაკენ. ყინულმა კურსი პროვედენიისაკენ აიღო. 3 ნოემბერს წმინდა დიომიდეს კუნძულს უახლოვდებოდა ყინული თანდათან პატარავდებოდა, 3—4 მილი აქვს არჩენილი სუფთა წყლამდე. განთავისუფლების პროცენტი მატულობს, ანუ როგორც მეზღვაურები ამბობენ:—ყინულიდან განთავისუფლების აქციები იაფდება, ფასი ვარდება. 4 ნოემბერს კუნძულს გამოცდა, ყველანი დარწმუნებული არიან, რომ განთავისუფლდებიან. საჭიროა ყინული გასქდეს და „ჩელუსკინი“ დაიძრება. საღამოთი ყინული შეჩერდა, დრეიფი შეწყდა, სამხრეთის ქარი იწყება, რომელიც ჩელუსკინისათვის არა სასურველ მოვლენას წარმოადგენდა. ჩვენმა ექსპედიციის უფროსმა ამხ. ბოჩეკმა და კაპიტანმა ნიკოლაევმა „ჩელუსკინს“ რადიოგრამით დახმარება შესთავაზა, დაზიანებულ წითელ დროშოვან „ლიტკეს“ და მის კამანდას კიდევ შეუძლია დახმარება აღმოუჩინოს „ჩელუსკინს“. შეძლების დაგვარად. დაამტვ-მჭრელი ვერ მოერევა ააფეთქონ. მაგრამ რადგანაც პროფ. შმიდტი დარწმუნებული იყო, რომ განთავისუფლდება და ყინულებიდან დახმარებაზე უარი განაცხადა. ყინულმა 40 მილით უკან წაიღო. თავის სალტეებში მოქცეული „ჩელუსკინი“ და გაატანა ჩრდილოეთისაკენ ისევ პოლიარულ ზღვისაკენ, გუშინ თუ პოლიარულ ზღვიდან გამოსვლისათვის მოსალოცი დეპეშები მოსდიოდა, დღეს 5 ნოემბერს, ისევ პოლიარულ ზღვაში ყინულებთან ერთად ჩრდილოეთისაკენ მიექანება, გამოსვლის იმედი თანდათან კლებულობს. არქტიკა თავისას განაგრძობს, ვერ ელევა თავის სტუმრებს. ცდის: გაუძლებს თუ არა მის ყინულის მუხრუჭებს აქ მომსვლელი. არ მოსწონს რომ მასში გვიან დაეხეტებიან. ყინულთა სამეფო ზამთარში სტუმრის მოყვარე არაა. ბოროტია და მრისხანე. წაიღო „ჩელუსკინი“ ჩრდილოეთით.

11 ნოემბერს უკვე 140 მილით არის დაშორებული 4 ნოემბერში დგომის წერტილიდან. „ჩელიუსკინლებს“ უკანასკნელი იმედი დარჩათ დახმარება ეთხოვათ „ლიტკესათვის“. „ლიტკე“-მ ამ დროს დეჟნევისა და უელენის მიდამოებში ტრიალებდა მოზამთრეებს აგროვებდა პროვედენიეში წასაყვანად. ჩელიუსკინიდან მიღებული რადიოგრამა, რასაკვირველია არა სასიამოვნო იყო ყველასათვის. რადგან ჯერ არ ყოფილა შემთხვევა ნოემბრის პოლიარულ ზღვაში თავის ნებით შესულიყო გემი. მაგრამ აქაც არ შეშინდენ, მეზღვაურება შიში არ სჩვევიათ, დახმარებას მოითხოვს. მაშასადამე აუცილებლად უნდა დაეხმარონ. გემზედ სამკუთხედის სასწრაფო კრებამ ერთხმად დაადგინა გაემართოს „ლიტკე“ ჩელიუსკინისაკენ. თუ გემს ვერ გადაარჩენს, ზედმეტი ხალხი მაინც მოხსნას: „ლიტკეზე“ შეიცვალა ნაწილი კომანდისა მოსალოდნელი იყო ზამთრობა და ვინც სუსტად გრძნობდა თავს, ან არ ქონდა სურვილი, შეცვლილი იქნა სხვა გემებიდან თუმცა ასეთები ცოტანი აღმოჩნდენ, ყველას ქონდა სურვილი ჩელიუსკინელთა დახმარებისა. წავიღეთ საზამთრო სურსათ-სანოვაგე და 13 ნოემბერს უკვე გავეშურეთ ჩელუსკინისაკენ. პროვედენიეში მყოფი გემები სიგნალებით გვისურვებდენ გამარჯვებას მშვიდობიან ცურვას, მშვიდობიან დახმარებას.

ძლიერი ქარი ქროდა, ზღვა ღელავდა და ერთი დღით მოგვიხდა წმ. დიომიდეს კუნძულთან თავის შეფარება. 14 ნოემბერს უკვე ჩელიუსკინს უახლოვდებოდით შეუმჩნევლად გავცურეთ 67 გრად. „ჩელიუსკინამდე“ 15 ნოემბერს 20 მილი იყო დარჩენილი „ჩელიუსკინი“ არ სჩანდა: გაუვალი ყინული მძინვარებდა. ის ყინულის მოედანი, რომელც მას ახლდა 10 დღის წინად გაზრდილიყო, ყინულის მოედნები ერთი მეორეს მიყინოდა, რომლის სიგანე დღეს ათეულ მილით იზომებოდა. შემოუარეთ სამხრეთ, აღმოსავლეთით, მიუდექით ჩრდილოეთიდანაც, მაგრამ 30 მილია ჩელიუსკინამდე და გზა მისასვლელი



ტფილისის ზოოპარკში

არსაც სჩანდა. რამდენიმე წლის ყინულთა ფენები, რომლის სისქე რამოდენიმე მეტრს აღწევდა, ყინულისმჭრელისათვის გაუვალი იყო. გადაწყდა ჩელიუსკინიდან გამოეფრინათ ცნობილი მფრინავი ბაბუშკინი, ეწარმოებინა დაზვერვა იქნებ აღმოეჩინა გზა ეპოვნათ ყინულის მჭრელის მისასვლელად. ყინვა თანდათან მძვინვარებს. 16 ნოემბერს ამერიკის ნაპირები თეთრად ბრჭყვიალებს უკვე დიდი ხანია დათოვა. ყინულის მჭრელის ერთ ადგილზე დგომა აღარ შეიძლება. რადგან მოსალოდნელია ჩაყინვა და ზამთრობა ხელმეორედ. ბაბუშკინის თვითმფრინავმა აფრენის დროს ტოროსებში ავარია განიცადა. საჭიროებდა სერიოზულ შეკეთებას. ბუხტა პროვედენიეში ლიაპიდევსკის და პეტროვის თვითმფრინავებს ფრენა არ შეეძლოთ, რადგან ჯერ კიდევ ასაფრენი მოედანი მათთვის მზად არ იყო. დაზიანებულ „ლიტკე“-ს საქმე ერთ თვეზე მეტია კონსერვაცია ქონილია, გემის მართვა ხდება მარჯვენა და მარცხენა მანქანების რეგულიაციით. წყალის დენა ყველაზე მეტად საფრთხეში აყენებს როგორც გემის შემადგენლობას ისე თვით გემსაც.

„ჩელიუსკინლებს“ შორიდან ვემშვიდობებით, უსურვებთ მშვიდობიან ზამთრობას, გამარჯვებას უხალისოდ ვბრუნდებით უკან პროვედენიისაკენ. მეტი გამოსავალი არ იყო იგი უნდა დაგვეტოვებია ყინულებში. უკვე გვიანი იყო 17 ნოემბერია. გემზე ყველა ღელავს წარმოდგენილი აქვთ როგორ პირობებში მოუხდებათ მათ ზამთრობა: ყოველ წუთს მზად უნდა იყვნენ ჩანთებით სურსათ სანოვაგით, დღე და ღამ ჩაცმული უნდა იყვნენ. ჩვენც გვქონდა ასეთი საშიში მომენტები. ასეთ პირობებში გემის მიტოვების სიმძიმეს მხოლოდ ის გრძნობს და გაიგებს ვისაც გამოუცდია ჩრდილოეთის მკაცრი ზამთარი ეხლა ჩვენ ვცდილობთ როგორმე არ დავეზამთროთ. როგორმე მივაღწიოთ ნაპირამდე, ზამთრობა ამერიკის სანაპიროებთან ძნელი საქმეა, აქ მხოლოდ აქა იქ გაირბენს თეთრი მელათ (პესეცი), უკვე ზამთრის სამოსელში გახვეულა, სხვა არაფერი სჩანს. ისევ ჩვენს მიწისაკენ სვლობამივდივართ თანდათან გემში წყალი მატულობს, ყინულებს უფრთხილდებით, კაპიტანი ხიდზეა. დღეს და ღამ ძირს არ ჩამოდის. ჭამის დროსაც თვალები ფანჯრისაკენ უჭირავს. ქურქში გახვეულს ხიდზე სძინავს დღე და ღამეში 2—3 საათი. მივვართ უხალისოთ, ხიდზე დგას კაპიტანი და ჩუმათ მართავს გემს, არავის ესაუბრება. უფროსი მექანიკი დაწრიალებს სამანქანო განყოფილებიდან „კაიუტ კომპანიამდე“ ესეც ვერ ისვენებს, ნერვიულად ღეჭავს პირში ჩიბუხს, რომელსაც მგონია ძილის დროსაც არ იშორებს. იგი გემზედ დიდ პასუხისმგებელია, როგორც ამბობენ. გემის გული მანქანა არისო. ეხლა „ლიტკეს“ მდგომარეობაში რასაკვირველია უფროსი მექანიკი ვერ არის ხასიათზე. ყინულები თანდათან იშვიათდება

უელენში უკვე დიდი ხანია მოზამთრეთა გემებიდან მოსულნი გველოდებოდენ. ეს უკანასკნელი ჯგუფი იყო, მეტის მოყვანა არ შეიძლებოდა, რადგან მალე ჩრდილოეთის კონცხთან პოლიარული ღამე იწყებოდა. წამოვიყვანეთ და წამოვედით პროვედენიისაკენ. 21 ნოემბერს პროვედენიაში ისე არ შეგვხვდენ როგორც გამოგვაცილეს, რასაკვირველია ჩვენი მისვლა გაეხარდათ, გაეხარდა რომ ჩვენც არ დავეზამთრეთ, მაგრამ უჩელიუსკინოთ მისვლა კი არც ჩვენთვის და არც არავისათვის სასიამოვნო არ იყო.

ყველას სახეზედ ემჩნევა, რომ რაღაც აწუხებს, რაღაცას დარდობს, ეს არის ჩელიუსკინი რომელიც ნაპირებიდან შორს ზღვაში ყინულებში ჩარჩენილი ატარებდა მოუსვენარ ზამთრობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლიოგრაფია

## ი. ლისაშვილის „ვარდნილი“

ამ რომანის გამოცემამდე ი. ლისაშვილი იყო ცნობილი, როგორც პროლეტარული პოეტი. რომანი „ვარდნილი“ მისი პირველი ცდაა მხატვრული პროზის დარგში, ეს რომანი მიუხედავათ ზოგიერთ ნაკლისა უნდა იქნეს ცნობილი როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა ქართულ ლიტერატურაში. პირველ რიგში ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორმა აილო სრულიად ახალი ეს აქტუალური თემა.

ჩვენს წინაშე არის ფართო ტილო, რომელზედაც მოცემულია ელექტროფიკაციის მშენებლობის სურათი. ავტორმა შექმნა ფოლადისაგან გამოკვეთილი ბოლშევიკების სახეები—ლევან ქვაკირელი და ნინა კურაშილი. შექმნა ბოლშევიკის ტიპისა ყოველ ავტორისთვის წარმოადგენს უძნელეს ამოცანას და ეს ამოცანა ავტორმა გადასწყვიტა. ავტორის მიერ ნაჩვენებ მავნებელთა შორის ყველაზე რეალურია თემურ ბახელი — სოფლს ყოფილი კულაკი. უკვე განადგურებული სამღვდელოების წარმომადგენელია ცალთვალა პავლე ხახარაძე, ეს დაუვიწყარი სახე ტარტიუფისა ავტორს თავის რომანში გამოჰყავს მრავალი პირები. მაგრამ მათ შორის გამახსოვრდებათ არა მარტო მთავარი, არამედ მეორე ხარისხოვანი პერსონაჟები. მაგალითად: მავნებელი სიმონა ზვედელი მემანქანე ლიდა ლანდაძე, მოხუცი გლეხი თენიაშვილი, პარტკომის მდივანი ბენო ხალაძე და დამგვილი მოხუცი ქალიც კი რომანში ძალზე საინტერესოა მასიური სცენები და მათ შორის უდიდესი ადგილი უჭირავს წმენდას, რომელიც არც ერთ ქართველ მწერალს ჯერ არ აუწერია.

რომანში დიდი ადგილი უჭირავს პეიზაჟს—ზოგჯერ ურბანიულს, ზოგჯერ სოფლურს. ეს პეიზაჟი რომანში შედის, როგორც ორგანიული ნაწილი და ის მოცემულია პარალელურად ამა თუ იმ განცდებთან. ხმები და ფერები ემსახურებიან ერთავე მიზანს — გმირების ფსიქოლოგიური გარჩევას. ყველაზე დიდ დინამიკას და პათოსს აღწევს ავტორი, როდესაც ის აგვიწერს იმ მშფოთვარე ღამეს, როდესაც ნინა კურაშვილი ტფილისიდან მატარებლით მიექანება და სძლევს ათასგვარ დაბრკოლებას, რომ გადაარჩინოს ელექტრო სადგურის მშენებლობა; აფეთქებისაგან, რომელიც მოამზადეს მავნებლებმა.

ბევრი მეტაფორები გაოცებს გამბედაობით და ორიგინალობით. მაგალითად, გვირაბის ჩამონგრევის შემდეგ დახოცილი მუშების გვამები კუბოებითა მოაქვთ ზემოთ; მიწამდე დაშვებული რტოები, ბუჩქ „მდინარე ვარდნილის მახლობლად ქებში ამდგარ ხარივით შეარხია და ხევით აიტანა პირველმა კუბომ, რომელიც უკვე გამოცურდა მწვანე ფოთლებიდან“.

ამ რომანის ლირიკულ კოლორიტმა ზოგიერთ კრიტიკოსებს მისცა საბაბი ბრალი დაედოთ ავტორისათვის სანტიმენტალობაში. ეს ლირიზმი არ უნდა იქნეს გაგებული ყალბად. ავტორი ოლიმპიურ სიმშვიდეს ტვეობში არ ვარდება, რაც დამახასიათებელია ბურჟუაზიულ მწერლებისათვის, იგი ანთებული ვექილია და მამხილებელი თავისი გმირების. ამასთანავე რომანისათვის დამახასიათებელია ოპტიმიზმი შეერთებული შრომისა და ბრძოლის რომანტიკასთან. მიუხედავათ იმისა, რომ მშენებლობისაგან ილუპება მთელი რიგი ენტუზიასტმშენებლებისა. მშენებლობა მთავრდება გამარჯვებით გიდროსადგურის საზეიმო გახსნით. ენა, რომლითაც დაწერილია რომანი, არ არის თავისებური. ხშირად ავტორი მრავალ სიტყვიანია იქ სადაც საკმაო ორიოდე შრისი. ავტორი მიდის მცირე წინააღმდეგობის გზით. ის არ ეკიდება სიტყვას სიფრთხილით და შიდიგათ ჩვენ ვიღებთ ტრაფარეტულ საგაზეთო ენას.

ხშირად ავტორი მოგვითხრობს ამბავს, აწმყოში, როცა საჭიროა წარსული დრო. რომანის გმირთა ტენდენციური ვერიში. ცრუ კლასიკური მანერის განმეორებით ზოგიერთ კრიტიკოს აძლევენ საბაბს რომანის უმართებულო შეფასებისათვის. რომანის მთავარ მოქმედ პირთა შორის ვერ არის სავსებით ასახული მავნებელი ინჟენერ კაკაბაძის ტიპი. ავტორი არ ეპყრობა იმ ტიპს საჭირო სერიოზულობით. თითქოს განგებ აქიეთებს მას. ინჟენერ კაკაბაძე უნდა იყოს უფრო ჭკვიანი იმ როლის მიხედვით, რომელიც დაკისრებული აქვს რომანში. კაკაბიძე არასავსებით გახსნილი ავტორის მიერ. კომუნისტები ძალიან ნაკლებათ განირჩევიან ამ რომანში ერთი მეორისაგან.

ინჟენერი ნიაგარელი განმეორებაა ლევან ქვაკირელის. ამერიკელი ინჟენერები არ ქმნიან ცოცხალ ადამიანების შთაბეჭდილებას. ისინი მანეკენები არიან. ეს ნაკლოვანებანი სავსებით გასაგებია პირველ ნაწარმოებში, სადაც ავტორმა ჯერ კიდევ სავსებით ვერ აითვისა თავისი ოსტატობის ... საიდუმლოებანი მაგრამ ამ ტეხნიკურ ნაკლოვანებას ფარავს დადებითი ღირსება. რაც დამახასიათებელია ამ რომანისათვის. ამ ღირსებათა შორის უდიდესი ადგილი უჭირავს ბოლშევიკურ მსოფლმხედველობას და მსოფლშეგრძნებას, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ნაწარმოები. ჩვენ ვსთვლით ლისაშვილის დამსა- [illegible] ხურებად რომანის კარგ კომპოზიციურ) ენას, კლასიური მტრის ჩვენების სოფელში.

რომანში არის აუარებელი სცენა, სადაც სჩანს ავტორის დაკვირვება. ის ტემპი რომლითაც ვითარდება მოქმედება რომანში, არ არის მხატვრული ტემპერამენტის მაჩვენებელი. ერთი დადებითი დამსახურება ავტორისა არის ნინა კურაშვილის ბოლშევიკი ქალის ტიპის შექმნა, რომელიც უსათუოდ დაიჭერს თავ საპატიო ადგილს ქართულ ლიტერატურის ქალის ტიპების გალერიაში.

3. ბ.

ფასი 60 კაპ.

5—18

ეროვნული ბიბლიოთეკა





ოქტომბრის რევოლუციის 17 წლის თავი ტფილისში

სტამბა „კომუნისტი" ქამოს ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული № ბ—